# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 21 თებერვალი, 2013 წელი.

№33 (7160)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საქმეც ვაკეთოთ და დიალოგისთვისაც ვიყოთ მზად ②



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადება**



**ძალით გაკეთილშობილებული, ყავლგასული სააკაშვილი გუშინ ბორიტ ენას, დავით უსუფაშვილის პასუხად, განგებ კი ითაფლავდა, მაგრამ ხალხის აზრი მაინც კვლავ ურყევია: ნაციონალური მოძრაობა, როგორც ანტიეროვნული, დამნაშავე ძალა, კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს!..**

## პრემიერი და 200 „გათავისუფლებული“ ბიზნესმენი ④

## გალაღებულ ბანკებს ფრთებს შეაჭრიან

## თანამშრომლობა სააკაშვილის „ბაშვებმა“ დაიწყეს ②



## სხვის თვალში ბეწვის შემჩნევი მერაბიშვილი საკუთარ ოჯახში დირეს ვერ ხედავს ⑥

## საქართველოსთვის რომელია უსაფრთხო ძოლგა? ⑤



## ასეთად დამამახსოვრდა... ⑩



## 2050 წლისთვის ქართველი მოსახლეობის რიცხვი 2 მილიონამდე შემცირდება ③

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პარლამენტი

# საქმეც ვაკეთოთ და დიალოგისთვისაც ვიყოთ მზად



## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადება

**ბოლო 10 დღის განმავლობაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ერთი ნაწილი დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა და საზოგადოებას ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი მიეწოდებოდა. ეს აუცილებელი იყო ოპოზიციასთან მოლაპარაკებების პროცესის წარმატებისთვის. დღეისათვის მოლაპარაკების პროცესში შექმნილი ვითარებიდან და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებლად ვთვლი გავაკეთო ეს განცხადება.**

რამდენიმე დღის ინტენსიური მუშაობის შემდეგ ოპოზიციასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება კონსტიტუციური ცვლილებების ყველა საკითხზე. მაგრამ ამ შეთანხმების რეალიზაციაზე ნაციონალურმა მოძრაობამ უარი განაცხადა ბოლო მომენტში წამოჭრილ სხვა საკითხზე — საჯარო მოხელეთა ამნისტიის ფორმასა და შინაარსზე — შეთანხმების ვერმიღწევის გამო.

მიუხედავად ამისა, მინდა მადლობა გადავუხადო მოლაპარაკების პროცესში მონაწილე საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს, რომლებიც სათანადო მონდომებითა და კეთილსინდისიერებით ეკიდებოდნენ საპასუხისმგებლო და მძიმე საქმეს. ამ ეტაპზე მოლაპარაკების სასურველი შედეგით დაუსრულებლობაში უშუალოდ მათი წვლილი მინიმალურია. იმედს ვიტოვებ, რომ ახლო მომავალში უფრო პროდუქტიულად ვითანამშრომლებთ.

**მოვლენები კი ასე განვითარდა:**

**რა შევთავაზეთ ნაციონალურ მოძრაობას (27 დეკემბერი):**

**● კონსტიტუციიდან იმ ნორმის ამოღება, რომლითაც პრეზიდენტს შეუძლია მთავრობის ერთპიროვნულად შექმნა პარლამენტის თანხმობის გარეშე.**

**რა შემოგვთავაზეს და რაზე დავთანხმდით (15 თებერვალი):**

**● შეთანხმებული კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ ნებისმიერი სხვა კონსტიტუციური ცვლილებისთვის საჭირო კვორუმის გაზრდა 2/3-დან 3/4-მდე.**

**● საგარეო პოლიტიკური საკითხების კონსტიტუციაში ჩაწერა იმ სახით და იმ ფორმით, რასაც თავად შემოგვთავაზებდნენ.**

**● პარლამენტის ადგილსამყოფელის თაობაზე ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილებისთვის კენჭისყრის გადადება წლის ბოლომდე.**

**● კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის მხოლოდ ნაწილის ამოქმედება ისე, რომ პრეზიდენტს ვადის ამოწურვამდე დარჩენოდა გუბერნატორების დანიშვნის უფლება, პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად კვლავ კვალიფიციური უმრავლესობა ყოფილიყო საჭირო, პრეზიდენტის იმპიჩმენტის გართულებული პროცედურები დარჩენილიყო უცვლელად და სხვა.**

**რა დამატებითი წინაპირობა წამოაყენეს (16 თებერვალი):**

**● უპირობო და სრული ამნისტია ყველა საჯარო მოხელისათვის (პრეზიდენტიდან მუნიციპალიტეტის რიგით თანამშრომლამდე) 2012 წლის 1 ნოემბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა.**

**რაზე განვაცხადეთ თანხმობა (17 თებერვალი):**

**● უპირობო და სრული ამნისტია საშუალო და ქვედა რგოლის საჯარო მოხელეებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა.**

**● ნაწილობრივი ამნისტია მაღალი რანგის თანამდებობის პირებისთვის, რომლის მიხედვითაც ისინი გათავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლებრივი სასჯელისგან დანაშაულის აღიარებისა და 5 წლამდე ვადით საჯარო სამსახურში ყოფნის აკრძალვის პირობით (პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, მინისტრები და მათი მოადგილეები, სამინისტროების მსხვილი სტრუქტურების ხელმძღვანელები, გუბერნატორები, გამგებლები, მათი მოადგილეები, იუსტიციის საბჭოს და სხვა მსგავსი ცენტრალური სტრუქტურების წევრები, საკრებულოების თანამდებობის პირები, მოსამართლეები, პროკურატურის მაღალი თანამდებობის პირები და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონით განსაზღვრული სხვა თანამდებობის პირები).**

**რა იყო მათი საბოლოო წინადადება (18 თებერვალი):**

**● სრული და უპირობო ამნისტია ყველასთვის, გარდა პრეზიდენტისა, მინისტრებისა და პარლამენტის წევრებისა, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა.**

**● ამნისტიის საკითხზე შეთანხმებამდე კონსტიტუციის საკითხებზე შეთანხმების რეალიზების შეუძლებლობა.**

**რა არის ჩვენი პასუხი (20 თებერვალი):**

**1. ნაციონალური მოძრაობის პოზიციის მიუხედავად, ჩვენ მოვამზადებთ და 2 კვირის ვადაში პარლამენტში წარვადგენთ კანონპროექტს საჯარო მოხელეთა ამნისტიის შესახებ იმ პრინციპების საფუძველზე, რაც შევთავაზეთ 17 თებერვალს.**

**2. პრეზიდენტის მიერ მთავრობის ერთპიროვნულად შექმნის აკრძალვის თაობაზე საკონსტიტუციო ცვლილებებს კენჭს ვუყრით საჭიროების მიხედვით, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე.**

**3. პარლამენტის ადგილსამყოფელის თაობაზე კონსტიტუციურ ცვლილებებს კენჭისყრაზე არ დავსვამთ საგაზაფხულო სესიის ბოლომდე.**

**4. გავაგრძელებთ საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების თაობაზე ინტერფრაქციული შეთანხმების მიღწევის მცდელობას, მაგრამ 15 მარტამდე ყველა შემთხვევაში კენჭს ვუყრით პარლამენტის რეზოლუციას ამ თემაზე.**

**5. შევქმნით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციური რეფორმის მოსამზადებლად, მათ შორის, ქვეყნის ევროპული არჩევანის კონსტიტუციაში ასახვის მოდელების შესამუშავებლად. კომისიაში შევლენ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ექსპერტები.**

**6. საარჩევნო კანონმდებლობისა და ინფრასტრუქტურის დახვეწის მიზნით შექმნილი ინტერფრაქციული ჯგუფი სრული დატვირთვით შეუდგება მუშაობას 1 მარტიდან. ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობისთვის მოვიწვევთ არასაპარლამენტო ოპოზიციის, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.**

**7. შევიმუშავებთ და საზოგადოებას 1 მარტამდე გავაცნობთ ღონისძიებათა კომპლექსურ გეგმას, რომლის მიზანი იქნება:**

**ა. საზოგადოებრივი წესრიგის უმკაცრესი დაცვა პრეზიდენტისა და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით გამართულ ღონისძიებებზე;**

**ბ. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირების კონსტიტუციური და საპროცესო უფლებების განუხრელი დაცვა და მათთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა;**

**გ. ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სხვა საჯარო დაწესებულებების მოხელეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების განუხრელი დაცვა;**

**დ. საერთაშორისო საზოგადოების სრულყოფილი და დროული ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის, დანაშაულის ჩადენაში მხილებული ყოფილი თუ მოქმედი მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე.**

ამრიგად, ჩვენ არ ვწყვეტთ დიალოგს ოპოზიციასთან, მაგრამ ვერც მხოლოდ უშედეგო დიალოგით შემოვიფარგლებით. უსაფუძვლო ჭირვეულობითა და ახალ-ახალი პირობების დაყენებით დროის გაყვანა ოპოზიციის ფუფუნებაა. ხელისუფლება კი ვალდებულია, უწინარესად, საქმე აკეთოს და თან დიალოგისთვისაც მზად იყოს.

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი საქმიანობის ზემოთ მოყვანილი გეგმა, ერთი მხრივ, ეხმიანება მოლაპარაკების პროცესში წამოჭრილ ყველა საკითხს და, მეორე მხრივ, მისი განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე შეიძლება მოლაპარაკების გაგრძელება და ფართო პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა, თუ ოპოზიციას ამის სურვილი და უნარი აღმოაჩნდება.

**რაც შეეხება ჩვენი საკონსტიტუციო ინიციატივის მთავარ ამოცანას, იგი მიღწეულია — პრეზიდენტის ხელში არსებული დესტაბილიზაციის იარაღი მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა და, საჭიროების შემთხვევაში, მხოლოდ ქართველ ხალხს არ მოუხდება მისი განიარაღება.**

2013 წლის 20 თებერვალი.

„მწვანე“ აუნთეს!

# თანაგუნდელებმა სააკაშვილის „ჩაშვება“ დაიწყეს

**პროკურატურის წარმომადგენლები უცხოელ დიპლომატებს შეხვდნენ, რომლებსაც წარუდგინეს მასალები და მტკიცებულებები, რაც გამოძიებას ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ აქვს.**

როგორც ცნობილია, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში გამოძიება ორი მიმართულებით მიმდინარეობს. ერთი ეხება „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დაფინანსებას საბიუჯეტო თანხებით, ხოლო მეორე თბილისის მერიის მიერ რიყის ტერიტორიის გასხვისების და უკან გამოსყიდვის საკითხს. აღმოჩნდა, რომ რიყის საქმე პირდაპირ კავშირშია ხელისუფლების მიერ დამოუკიდებელი ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდებასთან.

„ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, უცხოელებს წარუდგინეს მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ ჯოზეფ ქეის „იმედში“ გახარჯული 10 მილიონი დოლარი უგულავამ და კეზერაშვილმა ფაქტობრივი ოპერაციებით საბიუჯეტო თანხებიდან დაუბრუნეს.

ასევე პროკურორებმა დიპლომატებს წარუდგინეს იმ საქმის მასალებიც, რომელიც ეხებოდა შპს „თბილსერვის ჯგუფში“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დასაქმებას.

დიპლომატებს წარუდგინეს როგორც საქმის მასალები და ფაქტობრივი მტკიცებულებები, ასევე ნაციონალების მაღალჩინოსნების თანაგუნდელთა ჩვენებები, სადაც ისინი ყველაფერს ადასტურებენ, ანუ სააკაშვილის ჩაშვება მისმა თანაგუნდელებმა დაიწყეს.

როგორც ინფორმირებულმა წყარომ „ჯი-ეიჩ-ენს“ აცნობა, ამ მასალების გაცნობის შემდეგ დიპლომატებს არც ერთი შეკითხვა არ გასჩენიათ. მათ აშკარად დაინახეს, რომ გამოძიებას ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სერიოზული მტკიცებულებები აქვს.

**პრაქტიკულად შეიძლება ითქვას, რომ უცხოელებმა ახალ ხელისუფლებას უგულავას და სააკაშვილის დაჭერაზე „მწვანე“ აუნთეს.**

პროკურატურა პრაქტიკულად მუშაობის ახალ სტილზე გადავიდა. ჯერ უცხოელებს გააცნობს საქმის მასალებსა და კონკრეტულ მტკიცებულებებს, ხოლო შემდეგ ყოფილ მაღალჩინოსნებს დაკითხვაზე გამოიძახებს.



ინფორმაცია

## ნაცებს სინდისი რომ ჰქონდეთ, ცაგარეიშვილის გამოსვლის შემდეგ ბოდიშს მაინც მოიხდიდნენ

**საპარლამენტო** უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ცაგარეიშვილმა პარლამენტში ნაწამები პოლკოვნიკის სერგო თეთრაძის ფოტოები წარადგინა.

პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ცაგარეიშვილმა ოპოზიციონერ დეპუტატებს სერგო თეთრაძის მკვლელობისა და სხვა პირთა წამების ფაქტები შეახსენა და თეთრაძის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა.

ამასთან, მან დეპუტატებს გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგ, ნაწამები თეთრაძის ფოტოები წარუდგინა.

მისი თქმით, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ რეალური სახე. როგორც ცაგარეიშვილმა აღნიშნა, ის თეთრაძის საქმეს გადათარგმის და ევროპელ კოლეგებს გადაუგზავნის.

— ეს არის თქვენ მიერ მოკლული სერგო თეთრაძე და ეს დრო საქართველოში არასოდეს აღარ დაბრუნდება. არასოდეს დაბრუნდება ის დრო, როდესაც თქვენ აუპატიურებდით ციხეში ხალხს და წამებით კლავდით, — დასძინა მან.

## „ნაციონალური მოძრაობა“ კანონგარეშედ გამოცხადდესო!

**ვეთანხმები** აზრს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ კანონგარეშედ გამოცხადდეს, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოგი ქავთარაძემ გუშინდელ სესიაზე განაცხადა. მისი თქმით, საზოგადოების აქტიური წევრები ამბობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ უმრავლესობა ლმობიერებას იჩენს. — ისინი საკითხს ასე სვამენ, რომ არავითარი შეთანხმება ამ ხალხთან არ გამოდის, არც გამოვა არასოდეს, ჩვენ ვაშენებთ ქვეყანას და მშენებლობის დროს ისინი ჩვენ არ გამოგვადგებიან. ამიტომ, ისინი გვთავაზობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც დამნაშავე, გამოცხადდეს კანონგარეშე. ეს არის მათი აზრი, თუმცა, ვეთანხმები, — აღნიშნა ქავთარაძემ.

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# 2050 წლისთვის ქართველი მოსახლეობის რიცხვი 2 მილიონამდე შემცირდება

**„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი თამარ ჩიბურდანიძე აცხადებს, რომ ბოლო შვიდი-რვა წლის განმავლობაში საქართველოში სერიოზული დემოგრაფიული მდგომარეობის გამწვავება შეინიშნება. წინა ხელისუფლებას გაერომ 2010 წლის კვლევის შედეგები გამოუგზავნა, რომლის მიხედვით, საქართველოში 2050 წლისთვის დემოგრაფიული კატასტროფა გარდაუვალია. ამ შედეგების მიხედვით, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა 1 მილიონ 170 ათასით მცირდება. აზერბაიჯანის მოსახლეობა 11 მილიონამდე იზრდება და მცირედით იზრდება, ასევე, სომხეთის მოსახლეობა.**

**თამარ ჩიბურდანიძე საქართველოს პრეზიდენტს ადანაშაულებს იმაში, რომ მან გაეროს კვლევის მონაცემი მოსახლეობას დაუმალა და ვითარების გამოსწორებისთვის ღონისძიებები არ დაგეგმა. ამდენად, ის ერის მკვლელია.**

**„ჩვენი პრიორიტეტი იქნება მესამე შვილის გაჩენის წახალისება“, — ამბობს ჩიბურდანიძე.**

**For.ge თამარ ჩიბურდანიძეს ესაუბრა.**

**— თქვენ აცხადებთ, რომ 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხვი 2 მილიონამდე შემცირდება, რაც ჩვენისთანა პატარა ერისთვის საგანგაშოა. რას ეფუძნება გაეროს მონაცემები?**

— ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა მცირდება მილიონ 170 ათასი კაცით და ხდება 3 მილიონ 300 ათასი. სომხეთის მოსახლეობა მცირედით იზრდება და ისიც 3 მილიონ 300 ათასს უტოლდება, აზერბაიჯანის მოსახლეობა კი 9 მილიონიდან 11 მილიონამდე იზრდება. მათი ინფორმაციით, კავკასიაში და განსაკუთრებით, ამიერკავკასიაში სერიოზულად ირღვევა დემოგრაფიული ბალანსი, რაც სწორედ ქართველების ხარჯზე მოდის. ცნობილია, რომ სომხური მოსახლეობა მონოეთნიკურია და სომხეთში მოსახლეობის 99% ეთნიკურად სომეხია, საქართველოში კი ეთნიკური მრავალფეროვნებაა. ამიტომ საქართველოში დემოგრაფიული კატასტროფა, ანუ შემცირება მოდის ძირითადად ეთნიკურ ქართველებზე.



**— ანუ საქართველოში გამრავლებისკენ არიან მიდრეკილნი აზერბაიჯანელები და სომხები?**

— დიახ, საქართველოში არსებულ რეგიონებს შორის დემოგრაფიული კატასტროფა არ შეინიშნება ქვემო ქართლში, სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და კარგია, რომ მათ ეს პრობლემა არ აქვთ. ასევე, არ შეიმჩნევა სამცხე-ჯავახეთისკენ, სადაც ეთნიკური სომხები ცხოვრობენ და არ შეიმჩნევა აჭარაში. ფაქტობრივად, თუკი საქართველომ გარკვეული ეთნიკური ბალანსი შეინარჩუნა, ეს მთიანი აჭარის დამსახურებაა. ძალიან მრავალრიცხოვანი იყო იმერეთის მოსახლეობა, რომელიც დღესდღეობით შემცირდა. ცუდი მდგომარეობაა მთიან რეგიონებში, განსაკუთრებით, საზღვრისპირა ზოლში. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემით, 2009 წლის მანძილზე მაღალმთიან ონში მხოლოდ სამი ახალშობილი გაჩნდა. როგორც დემოგრაფები გვამცნობენ, თუ რაჭაში ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, 20-30 წელიწადში, შიდა მიგრაციისა და დემოგრაფიული კატასტროფიდან გამომდინარე, რაჭა თითქმის აღარ იარსებებს. ძალიან ცუდი მდგომარეობაა კახეთში, გურიაში, სამეგრელოში, თითქმის მთელ საქართველოში.

**— როგორ უნდა მოხდეს მოსახლეობის მთიან რეგიონში, ან საზღვრისპირა რეგიონებში დაბრუნება? თქვენ საუბრობდით მესამე შვილის გაჩენის აუცილებლობაზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოდან ფერტილურ ასაკში ხდება მოსახლეობის გადინება, როგორ უნდა მოხდეს დემოგრაფიული რესურსის ამოქაჩვა?**

— გეთანხმებით, რეალურად საქართველოში უკვე რამდენიმე წელია 15-ნაირი დემოგრაფიული საფრთხე არსებობს. ეს არის შობადობის კლება, შიდა და გარე მიგრაცია, ქალების როლის შეცვლა, ანუ მათი ფუნქცია დაიტვირთა, ქალებმა მამაკაცების როლი შეითავსეს და ოჯახის მარჩენლები გახდნენ, რაც, რა თქმა უნდა, ამცირებს დემოგრაფიულ მონაცემს. ამას ემატება ოჯახების დანგრევა, გაყრის დიდი პროცენტული მაჩვენებელია ახალგაზრდებში, ძალიან ცოტაა შეუღლების ფაქტები, დიდია დასაოჯახებელთა რიცხვი როგორც მამაკაცების, ისე ქალბატონების შემთხვევაში. ასევე, დიდია ერთ წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი, თუ არ ვცდები, ამ მხრივ თითქმის მოწინავე ადგილზე ვართ მთელი ევროპის მასშტაბით.

**— გარდა ამისა, საქართველოში მოკვდაობა უსწრებს დაბადებას და ერის დაბერების პროცესის წინაშეც ვდგავართ.**

— დიახ, მოკვდავობა საგრძნობლად უსწრებს შობადობას. სწორედ ამიტომ გვიახლოვდება კატასტროფა. ერთადერთი ინიციატივა ამ წლების მანძილზე არის პატრიარქის ინიციატივა შობადობის გაზრდის კუთხით. ასევე, ინიციატივა ჰქონდა ფონდ „იავნანას“ და სხვებს, რომლებიც ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, ერთადერთი რეალური ინიციატივა პატრიარქის იყო, რომელმაც გვაჩუქა 15 ათასი ახალშობილი და მჯერა, რომ ამას რამდენიმე ათასი კიდევ დაემატება. თუმცა, იმდენად დიდია მოკვდავობის მაჩვენებელი საქართველოში, რომ ესეც ვერ შველის ამ კატასტროფას. მეტსაც გეტყვით, სპეციალისტები გვეუბნებიან, როგორი სოციალური და ეკონომიკური პროგრამებიც არ უნდა განახორციელოს ხელისუფლებამ, დემოგრაფიული კრიზისის უკვე ისეთ სიღრმეში შევედით, რომ რაღაც ეტაპზე, პირველ წლებში შობადობის კლება გარდაუვალი იქნებაო.

**— ისიც მართალია, რომ ამ მონაცემებს მალავდა ყოფილი ხელისუფლება, რადგან არ აწყობდათ ამის გაჟღერება?**

— წლების მანძილზე რამდენიმე შეხვედრა გვქონდა დემოგრაფებთან, ეს მონაცემები პრესაშიც დაიდო, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში სააკაშვილმა სახალხოდ გამოაცხადა, თითქოს, საქართველოში შობადობის ბუმი იყო.

**— სააკაშვილი სამშობიაროებსაც სტუმრობდა და რატომღაც ძალიან ბევრი ბავშვი იბადებოდა იმ დღეებში.**

— დიახ, ეს იყო ტყუილი, საქართველოში შობადობის ბუმი არ ყოფილა. მას უნდოდა ამ ციფრების გადაფარვა, ისინი ყველაფერს პიარზე აგებდნენ, ნამდვილად არ აინტერესებდათ არც ერის გენოფონდი, არც ქვეყნის გადარჩენა. ეს ციფრები მედიის ყველა საშუალებაში იბეჭდებოდა, დემოგრაფები საგანგაშო სიტუაციაზე საუბრობდნენ, პატრიარქმაც რამდენჯერმე განაცხადა ამის შესახებ და ამის მიუხედავად, მაშინდელი ხელისუფლებისგან არც ერთი ინიციატივა არ მახსოვს ამ ცხრა წლის მანძილზე.

**— ხომ არ ფიქრობთ, ეს შეგნებულად კეთდებოდა, რომ გადინებულიყო მკვიდრი მოსახლეობა და სხვები დამკვიდრებულიყვნენ ამ ტერიტორიებზე?**

— სხვა ერთან პრეტენზია არ მაქვს, გინდაც ბურები იყვნენ, გინდაც ჩინელები ან ინდოელები. მათ უფლება აქვთ, სადაც უნდათ, იქ ჩასახლდნენ, მაგრამ, როგორც ქართველს, მაქვს უფლება, ჩემი ქვეყნის ინტერესები დავიცვა. როცა მსოფლიო ასეთ საგანგაშო მონაცემებს გაწვდის, ამ პერიოდში გენოფონდის შევსება, როგორც ჩანს, ყოფილ ხელისუფლებას სხვა ერის ხარჯზე უნდოდა. ეს ფაქტები ერთმანეთს ემთხვევა.

**— საქართველოში მცხოვრები ქართველებისა და არაქართველებისთვის თითქმის ერთნაირი პირობებია. რით ახსნით იმ ფაქტს, რომ მათ უფრო მეტი შვილი ჰყავთ? საერთოდ, ცივილიზებულ მსოფლიოს უფრო ნაკლებად იზიდავს გენოფონდზე ზრუნვა, ვიდრე სოფლად მცხოვრებ ადამიანებს.**

— მათი იდეოლოგია დაეროვნული დამოკიდებულება ასეთია. შევნატრი, რომ ასეთი იდეოლოგია აქვთ ამ ხალხს. წარმოიდგინეთ, 9 მილიონიდან 11 მილიონამდე ადიან. საერთაშორისო კვლევებით, ერში დემოგრაფიულ პრობლემებს არ იწვევს მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება. შეგიძლიათ წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს გადახედოთ, სადაც არ აქვთ ბავშვის შენახვის პრობლემა, მაგრამ იქ მრავალშვილიანობა მაინც არ არის. ამიტომ ეს არ ხდება მარტო საქართველოში. გლობალიზაციის პროცესი, რომელიც დღეს მიმდინარეობს, ეხება ყველა მცირე ერს. თითქმის ყველა მცირე ერის წინაშე დგას დემოგრაფიული პრობლემა. ეს ქვეყნები ახლა ცდილობენ გარკვეული კონცეფცია შეიმუშაონ. ზოგადად, ძალიან საპირისპირო მონაცემებია, მსოფლიოს მოსახლეობა კატასტროფულად იზრდება, ამ დროს კი საქართველოს და მცირე ერების ეთნიკური მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება, ანუ გლობალიზაცია, ფაქტობრივად, შთანთქავს მცირე ერებს. ჩვენ გლობალიზაციას ვერ შევაჩერებთ, მაგრამ უნდა დავიცვათ ჩვენი ერი ამ პროცესებისგან.

როდესაც ბატონმა ანზორ თოთაძემ და სხვა დემოგრაფებმა დავამუშავეთ ეს საკითხები და წარვუდგინეთ „ქართულ ოცნებას“ — მანანა კობახიძეს, დიმიტრი ხუნდაძეს, ზაქარია ქუცნაშვილს, ძალიან ვამაყობ, რომ იმ დღესვე დაიწყო ამაზე ფიქრი. დაისახა სამი მიმართულება — დემოგრაფიული განვითარების ფონდის შექმნა, რომელიც განახორციელებს სხვადასხვა პროექტს, ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს საქართველოში დემოგრაფიული განვითარების კონცეფციას, სახელმწიფო პოლიტიკას და საქართველოს მოსახლეობასთან საინფორმაციო-იდეოლოგიური მუშაობა. ამიტომ ყველა რაიონში ჩასვლას ვაპირებთ და მოსახლეობას ადგილობრივ მონაცემებს გავაცნობთ. რეგიონებში უნდა მოხდეს ხალხის დაბრუნება. ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის კომიტეტი და ჯანდაცვის სამინისტრო, დავით სერგეენკო მუშაობს და ქალბატონი თეა წულუკიანიც ჩაერთო ამ საქმეში.

**— კავკასიაში დემოგრაფიულ სურათზე ვსაუბრობდით, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში ამ მხრივ რა მდგომარეობაა?**

— ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე როცა ვსაუბრობთ, ჩვენ მოვიძიეთ მასალა ჩრდილო კავკასიელებშიც. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ჩეჩენი ერის შესახებ მოგვაწოდეს ინფორმაცია. დემოგრაფიული კატასტროფა მათ ნაკლებად ემუქრებათ. ომის შემდეგ ჩეჩენ ერში შობადობამ ორჯერ იმატა. მართალია, არ გაზრდილა ჩეჩენი ერის რაოდენობა, უბრალოდ, მათთან შობადობამ იმატა.

**— ჩვენ რატომ არ გვაქვს თვითგადარჩენის ფაქტორი, ჩვენც ხომ მცირე ერი ვართ?**

— როგორც ჩანს, ჩვენში დაქვეითებულია თვითგადარჩენის ინსტინქტი და ეროვნული თვითშეგნება. სწორედ ამაზე ვმუშაობთ საინფორმაციო-იდეოლოგიური კუთხით. უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც გამოგვეხმაურნენ, რათა მასშტაბურად ჩაერთონ ამ საქმეში. მარტო ის, რომ სოციალური დახმარება იქნება დაგეგმილი, საკმარისი არაა, მოსახლეობის ნება უნდა იყოს მესამე შვილის გაჩენა. ხელისუფლების ინიციატივაა, რომ ეს კატასტროფა ავიცილოთ. ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე ინიციატივით შემოვიდა, რომ 2013 წელი გამოცხადდეს დემოგრაფიის წლად და დემოგრაფიული განვითარების 12-წლიანი პროგრამა 2025 წლამდე დავდოთ, რათა 2050 წლის კრიზისი გადავლახოთ.

**მანანა ნოზაძე**

ალიან-ჩალიანი

# პროკურატურა ურმით დადის

**საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის ნუკრი ქანთარიას შეფასებით, პროკურატურა ურმით დადის.**

**როგორც ქანთარიამ პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, საჭიროა სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაჩქარდეს.**

**— მივმართავ უმცირესობის უმცირესობას, ის ვინც წინა ხაზზე გამოუშვა პარტიამ და საკმაოდ სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააყენა. არ ჩანს, რომ თქვენ გინდათ შეთანხმება, სინამდვილეში თქვენ გინდათ მსხვერპლად წარმოჩენა, გინდათ, რომ იაროთ გალახულებმა და უცხოეთის თვალში, როგორც მსხვერპლმა გაასაღოთ თავი, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რაშია საქმე. არ მინდა ვილაპარაკო 8 თებერვალზე და იმაზე, რომ პოლიცია და შსს მოიქცა ღირსეულად და გადაგარჩინათ საზოგადოების დიდი აგრესიისგან, არც ის მინდა ვთქვა, რომ ბატონი სერგო რატიანი ძალიან გაიტაცა კრივმა, არც ქალბატონი ჩიორა თაქთაქიშვილის ნახევარსაათიანი ლოგინად ჩავარდნის ფაქტთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომელმაც ფილმი „მანანა“ გამახსენა, თუმცა, ძალიან უნიჭოდ დადგით ეს სურათი. ეს ვერ გაიყიდება საქართველოში. ძალიან მძლავრობს აგრესია თქვენს მიმართ, ამის მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი მიმდინარეობს ძალიან ნელა. პროკურატურა დღეს ურმით დადის და მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობ, ის ყველა დამნაშავეს მაინც აუცილებლად მიადგება, სამართლიანობის აღდგენის პროცესი უნდა დაჩქარდეს. ალბათ, აუცილებელია ჩვენ მოვახდინოთ პოლიტიკური შეფასებაც, — განაცხადა ქანთარიამ.**



**მისივე განმარტებით, მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის შემდეგ შეიძლება კოჰაბიტაციაზე საუბარი, რადგან ის დანაშაულთან თანაარსებობას არ ნიშნავს.**

**— თქვენ ისე გიჭირავთ თავი, თითქოს გქონდათ მხოლოდ გარკვეული გადაცდომები და არ ყოფილა დანაშაულებრივი მოვლენები. ეს ძალიან აღიზიანებს ხალხს, ამიტომ ვამბობ, რომ სწრაფად უნდა დაიწყოს ან მიტევების ან მონანიების პროცესი, — აღნიშნა უმრავლესობის წევრმა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**დახურულ კარს მიღმა**



# პრემიერი და 200 „გათავისუფლებული" ბიზნესმენი

**პრემიერ-მინისტრი პირობას დებს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ვერავინ მოახერხებს კერძო ბიზნესში ჩარევას. ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლები მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობენ საინვესტიციო ფონდების შექმნასაც, რომელიც მომდევნო ორი თვის განმავლობაში ამუშავდება. რა კონკრეტული დეტალები გამოიკვეთა ქართველი ბიზნესმენებისა და პრემიერის გუნდის შეხვედრის დროს?**

შეხვედრაზე დასწრება, რომელზეც 200-მდე ბიზნესმენი იყო მიწვეული, მხოლოდ და მხოლოდ სპეციალურად შედგენილი სიით იყო შესაძლებელი. დახურულ კარს მიღმა გამართული ორსაათიანი შეხვედრიდან გამოსულმა პრემიერ-მინისტრმა ბიზნესმენებთან გამართული პირველი შეხვედრა გაიხსენა და განაცხადა, რომ გასული წლის 5 ოქტომბერს გამართული შეხვედრისგან განსხვავებით, 19 თებერვლის შეხვედრამ გაცილებით საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

**„ბიზნესმენებს ხელისუფლების ნდობა გაუჩნდათ",** — ამბობს ივანიშვილი.

მსხვილი ბიზნესმენები შეხვედრის შემდეგ საკმაოდ პოზიტიურ განწყობაზე იყვნენ. რაც მთავარია, ისინი „ჩაგრულის" პოზიციებიდან იძლეოდნენ კომენტარებს და „სახე დაწყნარებულნი" ჰყვებოდნენ თუ როგორ წნეხავდა ძველი მთავრობა, ხოლო ახალმა გუნდის ეკონომიკურმა პოლიტიკამ მათ სულზე მოუსწრო.

„თიბისი ბანკის" პრეზიდენტის მამუკა ხაზარაძის თქმით, პრემიერთან პირველი შეხვედრის შემდეგ ბიზნესისთვის პირველ რიგში შეიცვალა განწყობა, ანუ ის, რომ ბიზნესი თავისუფალია.

**„ახლა უნდა ვიზრუნოთ გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოძიებაზე და იმაზე, რა როლი შეიძლება გააჩნდეს სახელმწიფოს. ბიზნესი მორჩილი სტრუქტურაა, რომელიც ექვემდებარება კანონებს და როდესაც ბანკის კლიენტს ექმნება პრობლემები, ბუნებრივია, ეს აისახება ბანკზეც და ამ პრობლემების სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გარჩევა რთულია",** — განაცხადა ხაზარაძემ.

ასევე ბიზნესის თავისუფლებაზე საუბრობს „ვისოლ ჯგუფის" ვიცე-პრეზიდენტი ლევან ფხაკაძე.

**„ბოლო თვეების განმავლობაში ბიზნესმენებმა თავისუფლება იგრძნეს",** — აღნიშნა ფხაკაძემ და ხაზი გაუსვა, რომ პოზიტიურია, როდესაც ასე მოკლე პერიოდში პრემიერი ბიზნესმენებს ორჯერ ხვდება.

**„ბოლო თვეების განმავლობაში ყველამ თავისუფლება ვიგრძენით. ის კეთილგანწყობა ქართული ბიზნესისადმი, რომელიც დღესაა, თვალსაჩინოა. მთავრობა აშკარად მზადაა, ქართულ ბიზნესს თავისუფლად მუშაობის უფრო მეტი საშუალება მისცეს, რომ მან ქვეყნის აღმშენებლობაში საკუთარი წვლილი შეიტანოს",** — აღნიშნა ფხაკაძემ.

ბანკ „რესპუბლიკას" სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელის ლაშა პაპაშვილის თქმით, **ბიზნესში ამჟამად თავისუფლებაა, რაც კაპიტალის მოსაზიდად აუცილებელია.**

**თავად პრემიერმაც აღნიშნა, რომ უფრო დაწყნარებული და დაღვინებული სახეები გაქვთო. მთავარი, რაც სჭირდებოდა ბიზნესს საბოლოო განვითარებისთვის, იყო თავისუფლება. არ იყო თავისუფლება და იყო შიში. ამჟამად კი თავისუფლება არის და ბიზნესში შიში აღარ არსებობს, რაც კაპიტალის მოსაზიდად ყველაზე მნიშვნელოვანია. შიშის გამო ამ ქვეყნიდან წავიდა კაპიტალი,** — აღნიშნა პაპაშვილმა.

**ქვეყნის პრემიერი ბიძინა ივანიშვილი ბიზნესს თავისუფლების გარანტად თავად უდგება.**

**ბიზნესი რომ აღარ შევიწროვდეს ამის გარანტორი მე ვიქნები და ამის გარანტორი უნდა იყოს კანონმდებლობა. სულ მალე ყველა ამ შედეგს იგრძნობთ,** — აღნიშნავს პრემიერი.

პრემიერ-მინისტრმა ბიზნესმენებს 19 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე სამი სხვადასხვა ტიპის საინვესტიციო ფონდის შექმნის შესახებ მთავრობის ინიციატივაც გააცნო და მათ ფონდებში კაპიტალის დაბანდებაც ურჩია.

საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის ირაკლი კოვზანაძის განმარტებით, პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული საქართველოს სუვერენული ფონდი, კერძო საინვესტიციო ფონდი და ფონდი ახალგაზრდა ბიზნესმენების წასახალისებლად უახლოესი ორი თვის განმავლობაში ამუშავდება: **„ეს გახლავთ თანაინვესტირების ფონდი, რომელიც იქნება კერძო ინვესტიციების პირდაპირი ფონდი, განიხილავს კომერციულად მომგებიანი და ქვეყნისთვის საჭირო ყველა პროექტს. მეორე — სუვერენული ფონდი შეიქმნება საპარტნიორო ფონდის ბაზაზე და აქ იქნება ასევე სტრატეგიული განვითარების ფონდი, რომელიც დააფინანსებს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საქართველოსთვის პრიორიტეტულ პროექტებს",** — ამბობს ირაკლი კოვზანაძე.

შეხვედრის მიმდინარეობისას ივანიშვილმა ბიზნესმენებს ახალი ბიზნესომბუდსმენი გიორგი გვახარიაც წარუდგინა. ბიზნესომბუდსმენი მედიატორის ფუნქციის შესრულების გარდა, ბიზნესის კანონიერი უფლებების დაცვასაც აპირებს.

**„ბიზნესომბუდსმენის ფუნქციები 10 დღის განმავლობაში დაზუსტდება, თუმცა, მისი საქმიანობისას მეტი ყურადღება დაეთმობა მცირე და საშუალო ბიზნესს. ომბუდსმენის მოვალეობა მხოლოდ მედიატორობა არ არის, ის უნდა გახდეს ბიზნესის კანონიერი უფლებების დამცველი, არა მხოლოდ საგადასახადო დარგში, არამედ ყველა იმ სფეროში სადაც იქმნება კონფლიქტური ზონა ბიზნესისა და სახელმწიფოს ინტერესებს შორის",** — აღნიშნა გიორგი გახარიამ.

**გიორგი ბექაური**

**ბიზნესი**

# გალაღებულ ბანკებს ფრთებს შეაჭრიან

**ადგილობრივ ბანკებს არაპროფილური ბიზნესის ფლობას, სავარაუდოდ, აუკრძალავენ. ბანკირების წინააღმდეგ განსაკუთრებით დეველოპერები ილაშქრებენ და თვლიან, რომ საქართველოში არსებული დაუსრულებელი სამშენებლო კრიზისი დიდწილად ბანკების „დამსახურებაა".**

უკვე ცნობილია, რომ **ქართული ბანკების უმრავლესობა საკრედიტო ინსტიტუტების პარალელურად სხვადასხვა პროფილის ბიზნესებსაც ფლობს და საქართველოში განსაკუთრებით პოპულარულია სადაზღვევო, სალიზინგო, ქონების მართვის, ასევე საინვესტიციო საქმიანობით დაკავებული ფირმების მართვა.**

მაგალითად, **„თიბისი ბანკი" ფლობს სალიზინგო კომპანია „თიბისი ლიზინგის" 89%-ს, არასაბანკო საკრედიტო დაწესებულება „თიბისი კრედიტის" 75%-ს, საბროკერო კომპანია „თიბისი ბროკერის" 100%-ს, „გაერთიანებული საფინანსო კორპორაციის" 93%-ს, „უძრავი ქონების მართვის ფონდის" 100%-ს, საბანკო სისტემების მომსახურების კომპანიის 100%-ს, „თიბისი ფეის" 100%-ს, ასევე ისრაელში დარეგისტრირებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის კომპანია „თიბისი ინვესტს".**

**კიდევ უფრო მეტი არაპროფილური კომპანია აქვს „საქართველოს ბანკს" როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი 50-ზე მეტ სხვადასხვა საქმიანობით დაკავებულ კომპანიას ფლობს: სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაის" 100%-ს, „თელიანი ველის" და „თელიანი თრეიდინგის" 100%-ს, კონიაკის საწარმო „ლე კავკასის" 100%-ს, ხის კასრების საწარმო „კუპას" 70%-ს, ტუროპერატორ „ინტერტურის" 97%-ს, „პლანეტა ფორტეს" 51%-ს, „კავკასუს ავტოჰაუსს" და საკალათბურთო კლუბ „დინამო თბილისს".**

**ბანკების მიერ გამოქვეყნებული 2011 წლის ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ქართული ბანკების არაპროფილური ბიზნესებისადმი დაინტერესება 2008 წლის, ანუ კრიზისის შემდგომ გაორმაგდა.**

ბანკების ასოციაციის ხელმძღვანელის ზურაბ გვასალიას ინფორმაციით, **ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს სათავეს და აშშ-სა და ევროპაში ფინანსური ბაზრების მოდერნიზაციის პოლიტიკითაც არის ცნობილი. ამ პოლიტიკის მიზანი საფინანსო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერება იყო.**



**„მე ვერ გამიგია რაში იზღუდებიან დეველოპერული კომპანიები, მათ აქვთ მიმზიდველი და მომგებიანი პროექტები და ბანკები დაფინანსებაზე უარს ეუბნებიან?"** — აცხადებს გვასალია მშენებელთა საწინააღმდეგოდ.

მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელის ირაკლი როსტომაშვილის განცხადებით კი, **ბანკების დიდი უმრავლესობა თანახმაა არაპროფილური ბიზნესები ჩამოიშოროს. მისი აზრით, ბანკების ჩართულობა არაპროფილურ ბიზნესში არასწორია და ამ მიმართულებით ბანკებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.**

როსტომაშვილი ამბობს, რომ **ხელისუფლების პოზიციაც მათ მოსაზრებას ემთხვევა. ამიტომ, როდესაც ბანკები სუფთა საბანკო ფუნქციებს შეასრულებენ, ეს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისთვის ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება.**

**საინვესტიციო კომპანია „არქი ჯგუფის" გენერალური დირექტორი რადიო „კომერსანტთან" საუბრისას ადასტურებს, რომ მთავრობა ბანკებისთვის არაპროფილური ბიზნესების მართვის შეზღუდვაზე მუშაობს.**

ილია წულაიას განმარტებით, **თუ ბანკები მხოლოდ საკუთარი პროექტების დაფინანსებას გააგრძელებენ და კომპანიები სხვა გზებით მოიპოვებენ სახსრებს, გრძელვადიან პერსპექტივაში კონკურენცია შეუძლებელი გახდება. „არქი ჯგუფის" გენერალური დირექტორის თქმითვე, ახალი მთავრობა არსებული პრობლემების საქმის კურსშია და არსებობს ინფორმაცია, რომ მიდის მუშაობა სიტუაციის დასარეგულირებლად და იმისგან, რომ ბანკებს შეეზღუდოთ შვილობილი კომპანიების მეშვეობით დეველოპმენტში შესვლა.**

**ამ საკითხში მმართველი პარტია დეველოპერების მოსაზრებას იზიარებს. კერძოდ, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ბანკების მხრიდან საკუთარი სამშენებლო კომპანიების ფლობა და დაკრედიტება მეწარმეებს არათანაბარ სიტუაციაში აყენებს.**

ზურაბ ტყემალაძის თქმით, **მთავრობა აქტიურად მუშაობს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაზე, რომელიც ასევე გააკონტროლებს ბანკების მხრიდან დეველოპერულ საქმიანობაში ჩარევას.**

გვასალია კი სხვაგვარად ფიქრობს. მას ეეჭვება, რომ ანტიმონოპოლიურ კანონში კონკრეტული სფეროს გამოყოფა მოხდეს ან ჩაიწეროს, რომ კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ დეველოპერული კომპანიების ფლობა ან რაიმე მსგავსი შეზღუდვა დაწესდეს.

**„ბანკების მიმართ სხვა სფეროს წარმომადგენლებსაც რომ გაუჩნდეთ პრეტენზიები, გამოდის, ისინიც კანონში უნდა აისახოს? ზოგადად კი საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ", მუხლი 22 — „აკრძალული გარიგებები და მუშაობის მეთოდები", ამ საკითხებს ისედაც არეგულირებს",** — განმარტავს გვასალია „კომერსანტთან" საუბრისას.

მისი თქმით, **საბანკო საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკას ახორციელებს ეროვნული ბანკი, რომელიც განსაზღვრავს ამ სფეროში საბანკო საქმიანობის დასაშვებ პარამეტრებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ზემოქმედების ზომებს.**

**გიორგი ბაქრაძე**

**ინფორმაცია**

## საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარედ კოკი იონათამიშვილი აირჩიეს

**თბილისის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" სხდომა გაიმართა. კენჭისყრის შედეგები საზოგადოებას საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილმა გააცნო.**

**სამადაშვილის განცხადებით, ფრაქციის სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ ფრაქციას უხელმძღვანელებს კოკი იონათამიშვილი. ამასთან, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებად ვახტანგ ცაგარეიშვილი და სევდია უგრეხელიძე აირჩიეს. ასევე, ფრაქციის მდივანობის კანდიდატად დასახელდა ხვიჩა სანაია, რომელსაც მოგვიანებით დაამტკიცებენ. ფრაქციის თავმჯდომარის და მისი მოადგილეების არჩევამდე სიტყვით ზაალ სამადაშვილი გამოვიდა.**

**მისი თქმით, ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლის შემდეგ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" დაეკისრა განსაკუთრებული მისია - უნდა შექმნას ოპოზიციური პარტიის სტანდარტი, რომელიც ითანამშრომლებს ყველა პოლიტიკურ ძალასთან, რომლისთვისაც ძვირფასია ფუნდამენტური ღირებულებები და ერთგულება იმ გეზისა, რისთვისაც ქართველმა ხალხმა აირჩია.**

**ზაალ სამადაშვილმა ასევე გაიხსენა 1921 წლის თებერვლის მოვლენები. მან აღნიშნა, რომ შემთხვევითი არ არის, რომ ეს სხდომა თებერვალში იმართება, რადგან 92 წლის წინ თბილისთან გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ. მან გაიხსენა იუნკერების თავგანწირვა და ისურვა, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ახსოვდეს კოჯორში დაღუპულთა ღვაწლი.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# საქართველოსთვის რომელია უსაფრთხო ქოლგა?



**მსგავსი ნაყოფიერი პოლიტიკური გაზაფხული ქართულ მედიას რა ხანია არ ჰქონია. რას არ შეხვდებით აქ — ტრადიციად ქცეულ ყოფილ მოხელეთა ან დღევანდელთა დაკითხვებით დაწყებული, ტელესტუდიური ჩხუბით, დედის გინებით დამთავრებული. მედიის უზომო აქტიურობით, რაც მთავარია, მწვავე სიუჟეტების განუწყვეტელი ჩვენებით, მოსახლეობის გაღიზიანების ფაქტორი თვალშისაცემია. მედია თავის საქმეს აკეთებს — ჭარბად, ზღვარგადასულად, სენსაციურად, მაყურებლისა და მკითხველის დაუნდობლად — ნახეთ რა თქვეს, როგორ გალახეს, როგორ შეურაცხყვეს — გამომწვევად აცხადებენ ჟურნალისტები — იმის მოლოდინში, რომ მაყურებელი, მკითხველი იარაღასხმული ქუჩაში გამოვა ვიღაცის სისხლის დასალევად.**

შეუნიღბავი თვალითაც კარგად ჩანს საზოგადოების უზომო გაღიზიანება, ერთმანეთისადმი აშკარა მტრული დამოკიდებულება — კოჰაბიტაცია შებრუნებით. რა თანაარსებობაზე, თანაცხოვრებაზეა ლაპარაკი ეგზალტირებულ საზოგადოებაში? „პრესის ჭეშმარიტი თავისუფლება განზე გადგომა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუთვაა. დიდია მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, მდიდრისა და ღარიბისა ერთმანეთზე მისევა კი არ არის — შუაკაცობაა, შუაჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა...", — წერდა დიდი ილია.

თანამედროვე მედია შორს არის ილიას შეგონებიდან. აღელვებულ ხალხს სად არ შეხვდებით — დემოკრატიულ ევროპასა თუ ამერიკაში, მაგრამ საქართველო სხვაა — ერთ დიდ დენთის კასრად ქცეული, ასანთის გაკვრის მოლოდინში, მისთვის ჩვეული რევოლუციისათვის. როგორც ჩანს, მართალი იყვნენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც მოითხოვდნენ სააკაშვილის ხელისუფლების ძალისმიერი გზით პოლიტიკიდან ჩამოშორებას, ანუ რევოლუციას და შემდეგ თავისუფალი არჩევნების ჩატარებას — დამნაშავე ნაცთა გარეშე.

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია", — ამბობს ქართული ანდაზა და კიდევ ერთხელ გვახსენებს გავლილი ოცი წლის ხელისუფლების „როტაციის" ქართულ ვარიანტს, ანუ რევოლუციას. არაო! ეს, გზა ჩვენთვის მიუღებელიაო, ბრძანა „მეოცნებე" ივანიშვილმა და რახან მან ბრძანა, კოალიციამაც „დემოკრატიულად" დაუკრა თავი. არჩევნებით უნდა შევცვალოთ მთავრობა და სამუდამოდ დავამტკიცოთ ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლაო. და ახდა მისი ნათქვამი, მაგრამ არაფერი ეშველა ხალხში დაგროვილ რევოლუციურ ბოღმას.

ცხრა წლის განმავლობაში ითმენდა ხალხი ნაცთა აღვირახსნილობას, შეურაცხყოფას, თავგასულობას — შურისძიების სურვილით, მჩაგვრელისათვის ანგარიშსწორების მოლოდინში. არჩევნებმა ვერ დააკმაყოფილა მისი სულიერი მოთხოვნა. ვერც ახალმა ხელისუფლებამ მოულბო იარები. მისთვის მიუღებელია დაკითხვაზე დაბარებული ნაცების გირაოთი გათავისუფლება, მეტიც — ნაცთა მომხრეების მხრიდან დაკითხვიდან გამოსული ნაცი ლიდერების ტაშით შეხვედრა. დაკითხვიდან გამოსულ ჭიაბერაშვილს ნაცთა აქტივმა ისეთი ოვაცია შეაგება, თითქოს ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული ყოფილიყო. „ოცნებელთა" სისუსტით გათავხედებული ნაცთა ქცევა, ისე მოქმედებს ხალხზე, როგორც ხარზე წითელი ნაჭერი.

არანაკლები გამაღიზიანებელია ევროპელთა დიდაქტიკური შეგონება და კოჰაბიტაციისკენ მოწოდება, არადა როგორი ასატანია გუშინდელ ჯალათთან თანაცხოვრება?! „ეს, რა ვნახეთ, როგორ შეიძლებაო", - აღშფოთებას ვერ მალავდა ევროკავშირელი კალასი, ნაცთა „შევიწროების" გამო. არადა ნაცები რომ ცხრა წლის განმავლობაში მთელს ქვეყანას უმოწყალოდ აჭენებდნენ, ოპოზიციას ტალახში ამოთხვრით ემუქრებოდნენ, ციხეში ყრიდნენ, ეს არაფერი.

მაშინ არავის გახსენებია კოჰაბიტაცია, არავის უთქვამს აუგი სააკაშვილისა და ნაცებისთვის. სააკაშვილი და ნაცები დღესაც მათი დასაყრდენია, ისეთი, რომლის შელევა უჭირთ და რახან უჭირთ — ეს ჩემი ასო კიტრია, თანაც დემოკრატიული და უნდა ჭამოთო, ჩაგვძახიან ისინი. აკი შეაქეს კიდევაც — წინა ხელისუფლებამ დიდი შრომა გასწია ევროკავშირში შესვლისათვისო.

და მაინც რა არის ეს ევროკავშირი? რა უნდა გააკეთოს საქართველომ იქ შესვლისათვის? რა მოთხოვნებს უნდა გასცეს პასუხი ქართველობამ? იქნებ დავალების საჯარო გამოქვეყნების შემდეგ ჩვენც დავფიქრდეთ, გვაწყობს თუ არა იქ შესვლა? ან შევძლებთ თუ არა მათი დავალების შესრულებას?

თბილისში გამართულ აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის შეხვედრაზე კიდევ ერთხელ მოვისმინეთ მაღალფარდოვანი სიტყვები, რასაც წლების განმავლობაში არ გვამადლიდნენ პატივცემული ევროკავშირელები. რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოგონილი ევროკავშირული რაღაც კავშირი, რომელიც 2008 წლის ცხინვალის ომის შემდეგ მოქმედებს, რუსული ორბიტიდან პოსტსაბჭოთა ქვეყნების დახსნის ერთ-ერთი გზაა.

თბილისის შეხვედრა ზომაზე მეტად გაშუქდა ქართულ მედიაში. მას განსაკუთრებული ელფერი მისცა საჯარო ბიბლიოთეკის წინ გამართულმა მუშტი-კრივმა. საპარლამენტო უმრავლესობის გაუაზრებელმა გადაწყვეტილებამ, პარლამენტში პრეზიდენტის ყოველწლიური ანგარიშის მიუღებლობასთან დაკავშირებით, ოსტატურად აიტაცა სააკაშვილმა და ისეთი ქარიშხალი მოაწყო, უკეთესს რომ ვერ ინატრებდა „ოცნების" აუგის მსურველი. ნუთუ სააკაშვილის პარლამენტში გამოსვლას უფრო მეტი დავიდარაბა მოჰყვებოდა, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი საჯაროს წინ? პარლამენტმა ფასდაუდებელი ძღვენი გაუკეთა ნაცებს. მათაც არ დააყოვნეს და „ოცნების" სალანძღავად წამიც არ დაკარგეს უცხოურ მედიაში.

არჩევნებით მოტანილი წარმატების უკმარისობა დღითი დღე ღვივდება ხალხში. ეს, მარტო საჯაროსთან გამართულ ჩხუბში არ გამოჩენილა. ეს, ჩანს ყოველი ფეხის ნაბიჯზე, თუნდაც საკრებულოებთან მოწყობილ ძიძგილაობის დროს. პოლიტიკოსები კი დღენიადაგ ჩაგვძახიან — საქართველომ გადალახა აქილევსის ქუსლი და ხელისუფლება არჩევნების გზით შეცვალაო. მაგრამ „ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლა რომ არ ესადაგება შეცვლილთა „დევნა-შევიწროებას?" — ასეთ კითხვას სვამს ევროპა.

**ხალხმა არჩევნებში მოუგო ხელისუფლებას, მაგრამ ვერ გაისტუმრა პოლიტიკურ სანაგვეზე, პირიქით, ოპოზიციაში გადასული ყოფილი ხელისუფლება ახალი შემართებით იბრძვის საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. შინაარსით დემოკრატიული პირველი ოქტომბერი, ვერაფრით ესადაგება საზოგადოების რევოლუციურ განწყობას, როგორც ჩანს მისთვის უფრო მისაღები იყო სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა და რახან ეს არ მოხდა, ხალხი დღენიადაგ უშვებს რევოლუციურ ორთქლს — ხან საჯაროს, ხან საკრებულოების წინ, ხან სატელევიზიო ეთერში და ა.შ.**

დამოუკიდებლობის ჟამს ჩანერგილი რევოლუციური სულისკვეთება ტრადიციადაა ქცეული და მისი ევროპული სახის არჩევნებით ჩანაცვლება ამ ეტაპზე ჭირს. ხალხის რევოლუციური დუღილი მაშინ დაოკდება, როდესაც არც ერთ ნაცს არ იხილავს ტელეეკრანზე. საზოგადოებას დაამშვიდებს ციხეში გამომწყვდეული დამნაშავე ნაცები, მაგრამ მისცემს ამის უფლებას ხალხს ევროპა ან ამერიკა?

ნაცებთან პარალელურ რეჟიმში მომუშავენი მუდმივად გვახსენებენ „დემოკრატიას", სამუშაო ადგილების შექმნას, ხალხისათვის დანაპირების შესრულებას, თითქოს ეს ყველაფერი ნაცთა ზეობის ჟამს უხვად იყო საქართველოში და „ოცნებამ" გაფანტა.

ნაცები და მათი ლიდერი ოსტატურად უკავშირებენ საშინაო საკითხებს საგარეოს, რითაც შეგნებულად ძაბავენ ვითარებას, თან დასავლეთს ახსენებს ნაცურ უნიკალურობას საერთო მტრის წინააღმდეგ ომში. საერთო მტერი კი რუსეთია, ვისთანაც საერთო ენას ეძებს ივანიშვილი, ქართველი ხალხის მიერ არჩეული ევროპული გზის „მოღალატე".

აღმოსავლეთ პარტნიორობის ჩარჩოებში გამოსვლის დროს სააკაშვილმა ილაპარაკა იმ რუსულ საფრთხეებზე, რასაც უდავოდ გამოიწვევს მოსკოვ-თბილისის რკინიგზის აღდგენა. მან ისიც აღნიშნა, რომ კონსტიტუციაში ჩაიწეროს საქართველოს ევროატლანტიკური კურსის თაობაზე და ისიც, რომ საქართველო არასდროს შევა რაიმე სახის პოსტსაბჭოთა კავშირში. რკინიგზის აღდგენას აუცილებლად მოჰყვება რუსეთის გავლენის აღდგენა ამიერკავკასიაში - გააფრთხილა მან ევროპა.

არაერთხელ მითქვამს და კვლავ გავიმეორებ - თუ რაიმე აბადია საქართველოს, გეოპოლიტიკური მდებარეობაა, რაც თავისთავად ნიშნავს ხალხისა და ტვირთების ტრანზიტს და აქედან გამომდინარე შემოსავლებს. ცხადია, დიდი ქვეყანა, ისეთი, როგორიც რუსეთია, შეეცდება პოლიტიკაც ჩართოს ამ საქმეში, მაგრამ საქართველოს გარეშე ის ამას ვერ განახორციელებს.

დღეს, მსოფლიოს საჭადრაკო დაფაზე, ბჟეზინსკისა არ იყოს, სხვაგვარი ვითარებაა, რაც დიდს, იმიტომ, რომ დიდია, არ აძლევს სხვის საქმეში პოლიტიკური ხელის ფათურის უფლებას. იმის შიშით, რომ რუსეთი საკუთარი პოზიციების გამტკიცებას შეეცდება, მასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა აბსურდულია. საქართველო თუ სუვერენული ქვეყანაა, პოლიტიკოსებიც უნდა ჰყავდეს. სწორედ მათ უნდა მოაგვარონ საკამათო საკითხები, გამართულად, მაგიდასთან და არა ბუჩქებიდან ყვირილით, რაც ამჯერად ხდება.

რუსეთის შიშით გზაჯვარედინის ფუნქციის უგულებელყოფა დიდი შეცდომაა. რკინიგზის ამოქმედებით არა მარტო დსთ-ს წევრ ქვეყნებთან და ევროპასთან აღდგება მიმოსვლა, არამედ შანსი გაჩნდება ირანთან კავშირებისაც და არა მარტო ირანთან, არამედ სპარსეთის ყურის ქვეყნებთან. საქართველოზე გაივლის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან, ირანიდან, სომხეთიდან, დსთ-ში და ევროპაში მიმავალი ტვირთები.

ცხადია, რუსეთის ირანთან დაკავშირება არ შედის აშშ-ის ინტერესებში, მაგრამ საქართველოს ინტერესებში ხომ შედის.

დროა წერტილი დაესვას პერმანენტულ ნაცურ პროპაგანდას ეშვებიანი რუსეთის შესახებ. ეს ქვეყანა რომ ისეთი იყოს, როგორც ამას ნაცები ხატავენ, დიდი ხანია დსთ-ს წევრ სახელმწიფოებს აღიარებინებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. როგორც ჩანს, არც ასეა საქმე. ორ მაგალითს მოვიყვან - აზერბაიჯანის გაბალის რადიოსალოკაციო სადგურის და ყაზახეთისას. გაბალის სამხედრო ობიექტი საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა და მისი დაშლის შემდეგ აზერბაიჯანის საკუთრებად გამოცხადდა. რუსეთი იძულებული იყო, მსუყე თანხები გადაეხადა სადგურის დაქირავებისათვის, ბოლო დროს აზერბაიჯანმა გააათმაგა ქირა, რამაც რუსეთი აიძულა, ხელი აეღო სადგურის ექსპლუატაციაზე.

ყაზახეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით ჩიმკენტის აეროპორტი მიიღებს ნატოს სამხედრო თვითმფრინავებს, ავღანეთიდან წამოსული სამხედრო ტვირთებით. ყაზახეთი კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციის (ოდკბ) წევრია, ამდენად მსგავსი ნაბიჯი წევრ სახელმწიფოებთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო, რასაც ადგილი არ ჰქონია. გარდა ამისა, ყაზახეთმა „აერობუსისგან" C-295 კლასის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი შეიძინა, მაშინ, როდესაც მსგავსი სახის თვითმფრინავებს რუსეთიც ამზადებს.

ყაზახეთმა იყიდა EC სახის ვერტმფრენი და გახსნა მისი წარმოების ქარხანა. საერთო ჯამში ყაზახეთმა 3 მილიარდი დოლარი დახარჯა უცხოური და არა რუსული სამხედრო იარაღის შესაძენად. რუსეთი, მეორეა მსოფლიოში, აშშ-ის შემდეგ, იარაღის ექსპორტით და ის სიხარულით არ შეხვედრია მოკავშირე ყაზახეთის გადაწყვეტილებას, თუმცა გულისწყრომა საჯაროდ არ გამოუხატავს. გაუბედავს მსგავსს ამერიკას მისი სტრატეგიული პარტნიორები?

თანამედროვე რუსეთი სხვა ქვეყანაა, ერთობ დაშორებული სააკაშვილისა და ნაცების დახასიათებიდან. რუსეთი არც ისეთი ჩამორჩენილი ქვეყანაა, როგორც ამას ხატავენ სააკაშვილის მეგობარი რუსი ლიბერალები, ნოვოდვორსკაია-ლატინინების მსგავსნი. ის გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე რეცესიასა და ეკონომიკურ სტაგნაციაში მყოფი ევროპა.

ევროპის სოციალურ-ეკონომიკურმა არასტაბილურობამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ საფრთხის ქვეშ დადგა საბაზრო ცხოვრების კანონები, ჩამოყალიბებული ფასეულობები, ნორმები და წარმატებები. გაუსაძლისმა ეკონომიკურმა პირობებმა ეჭვქვეშ დააყენა სახელმწიფო ინსტიტუტების სტაბილურობა. მოსახლეობა სულ უფრო ხშირად არ ენდობა ხელისუფლებას, პარტიებს.

მოსკოვში გამართული დიდი ოცეულის ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ევროპისთვის მძიმე ეკონომიკურ-ფინანსურმა პერიოდმა ჩაიარა, თუმცა გაჯანსაღებისთვის დროა საჭირო. ასეთ ვითარებაში რუსეთში იზრდება წარმოება, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, მათ შორის ისეთი ანაზღაურებით, ევროპულს რომ არ ჩამოუვარდება.

რუსი ტურისტები მთელს მსოფლიოს არიან მოდებულნი. ტურისტებს შორის არა მარტო ახლადდაჩეკილი რუსული ბურჟუაზიის წარმომადგენლებია, არამედ მშრომელი საშუალო ფენაც. რუსი ტურისტები არაბული ქვეყნებისთვის ნამდვილი სიცოცხლის ელექსირია. სწორედ მათმა დასვენებამ იხსნა ისინი გაკოტრებისგან. თუ ვინმეს დღეს ფული აქვს — რუსია, ამბობენ ისინი. მსგავსი სურათის მოწმენი არიან ტურიზმით ცნობილი ქვეყნები იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, სხვები.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე გრძელდება ანტირუსული პროპაგანდა, რომელმაც სერიოზული ზიანი მიაყენა ორი ქვეყნის ურთიერთობას. 20 წლის წინათ დაბადებულმა ახალგაზრდობამ, ხელისუფლების წყალობით, ცუდის მეტი არაფერი იცის რუსეთის შესახებ. ხელისუფალთა მხრიდან საზოგადოების, რომელიმე ქვეყნის მიმართ, ამ შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგ მომართვა, დანაშაულია, რაც კარგად იცის „დემოკრატიულმა" ევროატლანტიკურმა სივრცემ, მაგრამ ვიწრო პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე არათუ თვალს ხუჭავს საქართველოს პოლიტიკოსთა, განსაკუთრებით ნაცთა ქმედებაზე, არამედ ხშირ შემთხვევაში ახალისებს კიდევაც მათ.

ოცმა წელმა ლამის წყალს გაატანა ორი მართლმადიდებელი ერის საუკუნოვანი დამოკიდებულებები, არცთუ იშვიათად ისეთი, საქართველოს რომ გაახარებდა, მაგრამ მსოფლიოს ისტორიაში იშვიათად თუ ჰქონია ადგილი დიდისა და პატარის მუდამ ჰარმონიულ თანაცხოვრებას. ქართულ-რუსული ურთიერთობებიც სწორედ ასეთია — აღმა-დაღმა სვლით, თუმცა აღმა ჭარბობს დაღმას.

პოლიტიკური ლიდერების მოჭარბებული ამბიციურობის გამო, ქვეყანამ ჯერაც ვერ შეიგნო, რომ მისი, როგორც ქვეყნის წვლილი მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე, მსოფლიოს სტრატეგიის განსაზღვრაში — მიზერულია ან სულაც არაფერია. ამას წინათ ერთი ყვინჩილა ნაცი პარლამენტარი დაბეჯითებით ამტკიცებდა — მსოფლიო პოლიტიკური თამაშიდან საქართველოს გამორთვა, ქვეყნის დაღუპვის ტოლფასი იქნებაო. იქნებ საწინააღმდეგოდ? იქნებ დიდთა თამაშში გაჩხერაზე უარის თქმამ გადაგვარჩინოს?

**საქართველომ თავისი შესაფერი, მოკრძალებული ადგილი უნდა იპოვოს, რაც არარეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსთა, განსაკუთრებით ნაცთა გამოისობით ვერა და ვერ მოხერხდა. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა მომხიბლველია დიდი სახელმწიფოებისთვის, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საბაბი მათ პოლიტიკურ ქიშპში ჩასართავად. ქვეყნის პოლიტიკოსთ უნდა მოეხსენებოდეთ, რომ აქეთ-იქით გადახრა მძიმედ დაუჯდება ქვეყანას, უფრო მძიმედ, ვიდრე ამას 2008 წლის აგვისტოში ჰქონდა ადგილი.**

მაშ რას უნდა ემსახურებოდეს თუ არა წინასწარ, შეუგნებლად გამოწვეულ დავიდარაბას, ნაცთა აჩემება კონსტიტუციაში საქართველოს ევროატლანტიკური კურსის დაფიქსირების თაობაზე, იმის ხაზგასმით, რომ ის (საქართველო) არასდროს შევიდეს პოსტსაბჭოთა სივრცის რაიმე კავშირში? მსოფლიოში უამრავი სახელმწიფოა, მარტო გაეროს წევრი 192-ია და თუ რომელიმეს აღმოაჩნდება მსგავსი ჩანაწერი, გარდა იმ სამი სუსტი ქვეყნისა, რომელიც სააკაშვილმა დაასახელა — ჩავწეროთ!

ჩვენ ხომ სხვათა კანონების ზედაპირული გადმოტანის ოსტატები ვართ! ვითომ ჩანაწერი შეაფერხებს მომდევნო ხელისუფლების რუსეთთან სალი კავშირების ჩამოყალიბებას? ან ვინ იცის, რა ვითარება იქნება მსოფლიოში ხვალ ან ზეგ? დსთ-ში არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება ევროკავშირში. მაგრამ თუ ევროკავშირი, მიზეზთა გამო, აღარ იქნა სანატრელი, მაშინ რა ვქნათ?

მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სარბიელზე თავის ომახიან სიტყვას ამბობს ჩინეთი და როგორც ექსპერტები თვლიან, 2020-2025 წლისათვის ეს ქვეყანა პირველი იქნება მსოფლიოში. იქნებ ჩინეთზე გვეფიქრა ან „შოსზე"?

„ვაჲა, ვაჲა, ჩქიმი ცოდა" — როგორც მეგრელები იტყვიან.

**არვინ არ სვამს კითხვას — კონსტიტუციაში პოლიტიკური ორიენტაციის (კიდევ კარგი, სქესობრივს რომ არ გვთავაზობენ) ჩაწერით, რატომ უნდა შევიზღუდოთ თავი? მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკურად ბეც პრეზიდენტს სურს ასე?**

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ერთ პოლიტიკოსს ხმამაღლა, ომახიანად არ განუცხადებია, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია სხვაზე მიტმასნებას არ უნდა გულისხმობდეს, რომ ამ ორიენტაციას ერთი მიმართულება უნდა ჰქონდეს — საკუთარი მატერიალურ-ინტელექტუალური შესაძლებლობებით საკუთარი ცხოვრების შენება, რომ მას, ანუ საქართველოს, ყველასთან, განსაკუთრებით მეზობლებთან უნდა ჰქონდეს კონსტრუქციული ურთიერთობა და ა.შ.

**20 წლის განმავლობაში რასაც ვაკეთებთ, ისაა, რომ ვეძებთ უსაფრთხო ქოლგას და ამ ძებნაში სავალალო შეცდომებს ვუშვებთ. რა გარანტიაა, რომ დღევანდელი მოხერხებული, უსაფრთხო ქოლგა, ხვალაც ასეთი იქნება?**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ეს იყო, იყო...

# აფხაზური მხარე ისტორიის გათეთრებას ცდილობს



***აფხაზი** სეპარატისტების მიერ ახალი პოლიტიკური კამპანიის დაწყებას, რომლითაც აფხაზეთის ზოგიერთი მოღვაწე ცდილობს ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებას „ამცნოს", რომ აფხაზეთში სისასტიკე აფხაზებს კი არ ჩაუდენიათ, არამედ ასეთი სისასტიკე საერთოდ არ მომხდარა, ექსპერტი კავკასიის საკითხებში **მამუკა არეშიძე** სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისათვის" მიცემულ ინტერვიუში ისტორიის „გათეთრების" მცდელობად აფასებს და აცხადებს, „ჯერ მთელი პოლიტიკა და ტენდენცია მიმართული იყო იქითკენ, რომ მაქსიმალურად ყოველივე ეს გადაებრალებინათ ჩრდილოკავკასიელებისთვის, განსაკუთრებით ჩეჩნებისთვის, ახლა კი საერთოდ ლაპარაკი დაიწყეს იმაზე, რომ ასეთი რამ არ მომხდარა".*

**— საქართველოს თითოეულ მოქალაქეს დღემდე ახსოვს აფხაზეთში, მათ შორის გაგრაში ჩადენილი არნახული სისასტიკე... როგორც ჩანს, სეპარატისტებმა ამის უარყოფის კამპანია წამოიწყეს. რატომ?**

— ეს არის ამ ერის თვისება და ზოგადად, კავკასიური ერები ამ თვალსაზრისით არიან ძალიან აქტიურები — გაათეთრონ თავიანთი ისტორია. არავის არ მოსწონს მაინცდამაინც რაც მოხდა. თავის თავთან რომ მარტო რჩებიან არ უყვართ ხოლმე ამის გახსენება — რა მოხდა იქ მშვიდობიანი მოსახლეობის ეთნოწმენდისა და დარბევების თვალსაზრისით.

ჯერ მთელი პოლიტიკა და ტენდენცია მიმართული იყო იქითკენ, რომ მაქსიმალურად ყოველივე ეს გადაებრალებინათ ჩრდილოკავკასიელებისთვის, განსაკუთრებით ჩეჩნებისთვის, ახლა კი საერთოდ ლაპარაკი დაიწყეს იმაზე, რომ ასეთი რამ არ მომხდარა.

იქამდე მიდიან, რომ აფხაზეთის ტელევიზიით, ცოტა ხნის წინათ აჩვენეს დოკუმენტური ფილმი, რომელშიც 1989 წლის ივლისის მოვლენებზე იყო საუბარი. გახსოვთ ალბათ, იქ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ვოვა ვეკუა დაიღუპა. იქ იყო ხაზგასმულად ნათქვამი, რომ ვოვა ვეკუას სიკვდილში აფხაზების ხელი არ ურევია. უკვე აქამდე მივიდა საქმე. ფილმში კონკრეტულად ქართულ -აფხაზური დაპირისპირების თემა იმდენად არ იყო, რამდენადაც პოლიტიკური დაპირისპირების თემა. არასოდეს არ თქმულა არავისგან, რომ გინდა თუ არა აფხაზების ხელით არის ვოვა ვეკუა მოკლული — იქ იყო უბრალოდ სხვადასხვა პოლიტიკური თაობის ადამიანების შეჯახება. ქართული მხარიდან არ თქმულა ხაზგასმულად ეს. ითქვა, რომ დაიღუპა სოხუმში შეტაკების დროს, ქართული უნივერსიტეტს როდესაც იცავდნენ.

ახლა, აფხაზებს, მათ პოლიტიკურ ელიტას სურთ, რომ აქაც გაათეთრონ თავისი ისტორია.

შუბი ხალთაში არ დაიმალება, უამრავი რეზოლუცია არსებობს, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების — ეუთოს, გაეროს და რომელი ერთი ჩამოვთვალო, სადაც აღნიშნულია ყოველივე ის, რაც მოხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

მოდით, დავუშვათ, რომ აფხაზებს ამაში მონაწილეობა არ მიუღიათ, დავუშვათ. აფხაზებმა დაუშვეს ის, რომ სხვამ მათი მეზობლების დარბევა მოახდინა და ისინი ამას ყველაფერს უყურებდნენ.

მე კი არ მავიწყდება რამდენმა აფხაზმა გადაარჩინა რამდენი ქართველი და რამდენმა ქართველმა თავის დროზე გადაარჩინა რამდენი აფხაზი. ეს ყველაფერი ხდებოდა, განა არ ხდებოდა, მაგრამ სხვა რამეც ხდებოდა და სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ.

მე არასოდეს დამიმალავს ის, რომ ოჩამჩირის რაიონის სომხური მოსახლეობის ანტიქართული განწყობები განაპირობა იმ ქურდობა-დაყაჩაღებამ, რასაც ქართული შეიარაღებული ფორმირებების ზოგიერთი წარმომადგენელი ახდენდა ომის პირველ დღეებში. მაგალითისთვის ვამბობ, მაგალითად, გაგრის სომხობის აქტივობა სულ სხვა მიზეზმა განაპირობა.

ასე რომ, ამას ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და ამის მიმალვა საჭირო არ არის.

**— რატომ მაინცდამაინც ახლა გაააქტიურეს ეს პროპაგანდა?**

— მე ვერ ვიტყოდი, რომ ახლა, ეს ხდებოდა სხვადასხვა ფორმატში სხვადასხვა დროს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ახლა აფხაზური პოლიტიკური ელიტა ცდილობს, რომ მაქსიმალურად გამოაჩინონ თავისი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ასეთი ბნელი, ცუდი წარსული და ცუდი ბიოგრაფია, მისი აღქმა მსოფლიო საზოგადოებისათვის როგორც ნორმალური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისა — რთულია. აქედან გამომდინარე, ცდილობენ აი ამ ტიპის პროპაგანდით იმოქმედონ როგორც თავის საზოგადოებაზე, ისე უცხოურზე. თუმცა, ვიმეორებ, ყოველივე ამის ამსახველი საერთაშორისო დოკუმენტები არსებობს.

იხ. 9 გვ.

ვანო შინ და გარეთ

**100-ᲓᲦᲘᲐᲜᲘ ანგარიშით ჟურნალისტების წინაშე წარდგომისას, ბიძინა ივანიშვილმა ოჯახურ ურთიერთობებზეც ისაუბრა, ეს მისთვის წმინდა საკითხია. „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებმა ყოველივე ჭორაობად ჩათვალეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ გოკა გაბაშვილი და ვანო მერაბიშვილი. როგორც ჩანს, მათთვის უცხოა ოჯახური სიწმინდის ცნება.**

# სხვის თვალში ბეწვის შემმჩნევი მერაბიშვილი საკუთარ ოჯახში დირეს ვერ ხედავს



## №1 პოლიციელის მეუღლემ ინფორმაცია დამალა

**ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲒᲘᲠᲒᲕᲚᲘᲐᲜᲘᲡ სადისტური წამების და მკვლელობის საქმეში ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია ფიგურირებს.** სუფრასთან მეუღლის თანამშრომლებთან დათა ახალაიასთან, მელნიკოვთან, დონაძესთან, სანოძესა და სხვებთან ერთად იჯდა. სწორედ მერაბიშვილის მეუღლის თანამეინახეების შეკვეთით, შესაძლებელია უშუალო მონაწილეობითაც (ეს მალე დადგინდება), მოხდა ახალგაზრდის წამება და მოკვდინება. თავის დროზე შსს-ს მინისტრის ცოლი არ დაკითხეს (ვინ გაუბედავდა). თუმცა, ამ ქალბატონს საჭიროდ არ ჩაუთვლია შეესრულებინა მოქალაქეობრივი მოვალეობა და საკუთარი ინიციატივით მიეცა ჩვენება გამოძიებისათვის. ეს მას არა მხოლოდ კონსტიტუციით ევალებოდა, არამედ მორალური ვალიც იყო, როგორც ქალის, დედის და, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, როგორც შსს მინისტრის მეუღლისა. მერაბიშვილი ხომ მინისტრობის დროს თავად მოუწოდებდა მოქალაქეებს სამართალდამცავებთან მჭიდრო კონტაქტებისაკენ. კანონში ცვლილებებიც შეიტანეს, გამოძიებასთან თანამშრომლობას სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში მხედველობაში იღებდა, დანაშაულზე სასჯელს უმსუბუქებდა, ან სულაც ათავისუფლებდა მისგან.

დღეს იმ დაწყევლილი სუფრის წევრთა და მერაბიშვილის არა მხოლოდ კოლეგებიდან, ოჯახის ახლობლებიდან დათა ახალაია გაქცეულია და მისი ადგილსამყოფელი უცნობია, მელნიკოვი უკრაინაშია დაკავებული და განიხილება მისი საქართველოში ექსტრადიციის საკითხი. დონაძე ჩამოვიდა და მთელი შემართებით იძლევა და კვლავაც გააგრძელებს ჩვენებების მიცემას.

რაც შეეხება თაკო სალაყაიას, იგი გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით უკვე დაკითხეს (გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დეტალები არ ხმაურდება). მას კიდევ მოუწევს მსგავსი პროცედურის (შეიძლება პროცედურებისაც) გავლა.

## მთელი სამხარეო ქათმებს ეძებდა

**ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ მინისტრობის პერიოდში მის დედას ჟენია მერაბიშვილს ახალციხეში 4 დედალი დაეკარგა. როგორც დაზარალებული აცხადებდა, მათ შორის 3 კვერცხის მდებელი იყო.** ქალბატონმა მომხდარის შესახებ ადგილობრივ სამართალდამცავებს კი არ აცნობა, პირდაპირ შვილს დაურეკა. მინისტრმა სამხარეო პოლიციაში გასცა შესაბამისი განკარგულება და „შეკრბა დიდუბეს ლაშქარი". ორი დღის განმავლობაში ეძებდნენ სამცხე-ჯავახეთისა და ახალციხის პოლიციის სამხარეო და რაიონული სამმართველოების თანამშრომლები დაკარგულ ფრთოსნებს. სიტუაცია იმ დონემდე კომიკური გახდა, რომ ადგილობრივები ხუმრობდნენ, იქნებ „ოპერებს" დაკარგულთა სურათები დაურიგონო. საბოლოოდ საქმე გაიხსნა. გაირკვა, რომ ჟენიას ქათმები 2 ადგილობრივ არასრულწლოვანს წაუყვანია. მათ შეუმჩნევიათ ქუჩაში მოყიალე დედლები, დადარაჯებიან, დაუჭერიათ და გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ ახლოსმდებარე სასადილოში ჩაუბარებიათ. როდესაც სამართალდამცავები დასახელებულ კვების ობიექტს მიადგნენ, უკვე გვიანი იყო. „პოვარს" ისინი უკვე დაკლულიც ჰყავდა და კერძებიც მომზადებული ჰქონდა. არასრულწლოვანები გირაოს შეფარდებით გაათავისუფლეს. მერაბიშვილის დედას კი, რომელიც პედაგოგია და ახალგაზრდა თაობის სამსახურში უნდა იყოს, სიტყვაც არ დასცდენია ბავშვების დასაცავად. აზრადაც არ მოსვლია საჩივრის უკან გამოტანა.

მაშინ, ბევრი ხალისობდა ამ ამბით, ერთ-ერთმა სპეციალისტმა კი ყველაფერი სერიოზულად მიიღო და მომხდარი ამგვარად ახსნა — ქათმები არ იყო მთავარი თემა. აქ საქმე შეეხებოდა შს მინისტრის მერაბიშვილის პრესტიჟს. კაცი, რომელიც აცხადებდა, რომ მისი უნებართვოდ ქვეყნის მასშტაბით ჩიტიც კი ვერ გადაადგილდებოდა, მოულოდნელად დადგა ფაქტის წინაშე, რომ დედამისს ქათმები მოჰპარეს. ეს სიმკაცრე სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ ხალხში შიშის უკვე დამყარებული სინდრომი კიდევ უფრო გაემყარებინათ, ასკვნის ექსპერტი.

## დედა აბობოქრდა

**ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ — „ნაციონალების" ხერხემლის" (ამგვარი ეპითეტებით ამკობდა მას პრეზიდენტი) მინისტრობის დროს მისი დედა ჟენია მერაბიშვილი ახალციხეში ერთ-ერთი სკოლის დირექტორად დაინიშნა. ცოტა ხანში კი საუკეთესო დირექტორის საპატიო წოდება მოიპოვა.**

როგორც გამოცემა „სამხრეთის კარიბჭე" იუწყება, 13 თებერვალს დირექტორმა ჟენია მერაბიშვილმა ორი მეთერთმეტეკლასელი გოგონა და ერთი ბიჭი (მათი ვინაობა არ სახელდება) გაკვეთილებზე დაგვიანებისთვის თავის კაბინეტში შეყარა. ერთი გოგონა თმებით ათრია, დანარჩენები კი ქოლგით სცემა. გამოცემის ჟურნალისტი თამუნა უჩაძე წერს, რომ დეტალებში გასარკვევად სკოლაში მისულები შენობაში არ შეუშვეს. დირექტორმა არ ისურვა ადგილობრივ ჟურნალისტებთან დაკავშირება. მხოლოდ მათ შესახვედრად კონსპირაციულად გამოსულმა პედაგოგებმა უთხრეს მედიის წარმომადგენლებს ნაცემი ბავშვების ვინაობა, თუმცა, დეტალები არ დაუკონკრეტებიათ.

წერილის ავტორის გაოცებას იწვევს ის, რომ როგორც გალახული ბავშვები, ისევე მათი მშობლები „ჟენია დირექტორისაგან" დაშინებულნი არიან. ისინი სთხოვდნენ ჟურნალისტს საგაზეთო სტატიაში არ მოეხსენებინა მათი გვარები (რაც შესრულდა კიდევაც). მშობლებიცა და შვილებიც ერთხმად იძახიან, რომ ბევრი მშობელი და მოსწავლეა გამწარებული და გაბრაზებული დირექტორზე, მაგრამ ხმამაღლა და საჯაროდ ამის თქმისა ეშინიათ. ყველა ელოდება, რომ ვინმემ დაიწყოს, მაგრამ ეს „ვინმე" ჯერ არ ჩანს. გადმოცემებით ჟურნალისტმა ისიც გაარკვია, რომ 13 თებერვლის ინციდენტი პირველი ან იშვიათი შემთხვევა არ ყოფილა. თუ დირექტორი ცუდ ხასიათზეა, პირველივე ხელში მოხვედრილს სცემს, განურჩევლად ასაკისა და სქესისა, უყვებოდნენ მოსწავლეები „სამხრეთის კარიბჭეს". რედაქციის თანამშრომლებმა ბავშვების მონაყოლიდან ისიც გაიგეს, რომ ცოტა ხნის წინათ „ჟენია დირექტორს" სკოლის დამლაგებელიც უცემია.

იმის გამო,რომ მასმედიის წარმომადგენლები სკოლაში არ შეუშვეს, მათ დირექტორს სახლში მიაკითხეს. მომხდარზე (ცემის ფაქტზე) კომენტირებისას უფროსმა მერაბიშვილმა თქვა, რომ არაფერი მსგავსი არ ყოფილა, ბავშვს თმაზე ხელი მოვკიდე, რატომ დაიგვიანე-მეთქი, სულ ეს იყო და რა ერთი ამბავი ატეხეთო, იქით საყვედურებით დახვდა ექსპრემიერის დედა ჟურნალისტებს, როდესაც მას დამლაგებლის ცემა შეახსენეს, გაკვირვებულმა იკითხა, რაო, ის იძახის, რომ დაზარალებული ვარო? დაზარალებული მე ვარ, დავუწყევლივარ — მაგან არ გაიხაროსო.

გახარებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ექს შს მინისტრს, პრემიერს, ხელისუფლების ხერხემალს, „ნაციონალური მოძრაობის" გენერალურ მდივანსა და ამჟამად მხოლოდ „ნაცების" ხერხემალს ვანიჩკა მერაბიშვილს მძიმე წუთები უდგას. მეგობრები და თანამებრძოლები, მეუღლის თანამეინახეები, როგორც ვთქვით, ან გაქცეულები არიან ქვეყნიდან, ან „კუტუზკაში" სხედან, ცოლი ერთხელ დაკითხეს, ალბათ, კიდევ რამდენიმეჯერ დაკითხავენ. თავად ორგზის „ექსს" დაკითხვებზე ატარებენ და მსგავსი პროცედურების გავლა კიდევ რამდენიმეჯერ მოუწევს სხვადასხვა საქმეებთან დაკავშირებით, თუ ერთხელაც იქ არ დაიტოვეს მერაბიშვილისთვის საყვარელი „გონივრული ეჭვის" საფუძველზე.

ამ ყველაფერს ის დაემატა, რომ 13 თებერვალს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით განათლების სამინისტრომ მოკვლევა დაიწყო. ფაქტს, მერაბიშვილი და „ვარდ-ეკლიანები", სავარაუდოდ, შეეცდებიან ხელისუფლების მხრიდან მორიგ ზეწოლად და რეპრესიების გაგრძელებად წარმოგვიჩინონ.

ჩვენს წერილს კი „მაესტროს" ერთ-ერთი პროგრამის წამყვანის ვასიკო ოდიშვილის სიტყვებით დავამთავრებთ — „ახლა გაგახსენდათ რეპრესიებიოო?!"

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გიხაროდენ!

# ევროპას გადავასწარით!

## პროკურატურა – გამოძახებით, კოჰაბიტაცია – გადაძახებით

**სიმართლე გითხრათ, განცვიფრებული ვრჩები, როცა საზღვარგარეთელ კეთილისმყოფელთაგან არცთუ იშვიათად მესმის, რომ საქართველოში დემოკრატია მოიკოჭლებს. პირში უნდა გითხრათ, არა ხართ მართალნი, ჩვენო უცხოელო ძმებო და მეგობრებო, როცა ასეთ დაუსაბუთებელ განცხადებას აკეთებთ. მთელმა დუნიამ იცის, საქართველოს მეუფე მიხეილ სააკაშვილმა თავისი მოკრძალებული მმართველობის წლებში სამშობლოს გვალვიან მიწაზე დემოკრატიის ისეთი ხვავ-ბარაქა დააყენა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მარტო ჩვენ კი არა, ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობასაც ულევად გასწვდება.**

ასეა და რა ვქნათ, საქართველო ბოლო პერიოდში ნაცების წყალობით დემოკრატიის ჭარბწარმოებამ ისე წალეკა, რომ არჩევნებში გამარჯვებული ხალხი „ქართული ოცნების“ დანაპირებთა ნაყოფს მოჭუტული თვალითღა ამჩნევს. სამაგიეროდ თვალხილულია ევროპელთაგან ასერიგად მოწონებული კოჰაბიტაციის შედეგად მოწეული მოსავალი, რომლის მისაღწევად ქვეყნის სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალები არათუ თანაარსებობენ და თანაცხოვრობენ, შეიძლება ითქვას, კარგა გვარიანად თანაურტყამენ და თანაკოცნაობენ კიდეც. არა ვხუმრობ, ბატონებო, ამ ორიდე დღის წინათაც ვიხილეთ, პრეზიდენტის რეზიდენციის მისაღებში, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით მოსალაპარაკებლად მისული პარლამენტის სპიკერს როგორი სინაზით ჩაეკონა პარლამენტის უმცირესობის ლიდერი, ხოლო თავად სასახლის პატრონი ოპონენტის წვეულებით იმდენად აღფრთოვანებული, და დაბნეული ჩანდა, რომ ერთთავად ხელებით მოპაექრე სააკაშვილს საკუთარი ცხვირის მიგნებაც კი უჭირდა(!).

თუმცა პრეზიდენტის ცხვირი რა მოსატანია იმ სანახაობასთან შედარებით, რაც ჩვენმა ხალხმა, ცივილიზებულ მსოფლიოსთან ერთად, 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამართულ აქციაზე, საპროვოკაციოდ გავეშებულ ნაცუმცირესობის სიფათთან და ჩიორას არტისტულად გასისხლიანებულ ცხვირთან დაკავშირებით ნახა და განიცადა. ამ ფონზე იმდენად მძიმე და შემაშფოთებელი იყო საზოგადოების განწყობა, რომ ბევრს ცალკეულ ექსპერტთა შეფასება იმის თაობაზე, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით ეს აქცია, მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად აღიქმება, დაუჯერებლად მოეჩვენა. არადა, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად, ხსენებულ ექსპერტებსაც აქვთ ერთგვარი ნივთმტკიცება: ყველა ადრინდელ აქციაში (იგულიხსმება ცნობილი 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციები) თუ ხელისუფლება არბევდა და ჩეხავდა დემონსტრანტებს ამჯერად ამ უკანასკნელთ დაასისხლიანეს საპარლამენტო ნაცუმცირესობა. აქვე, ალბათ, უხერხული იქნება არ ვაღიაროთ სააქციოდ მომზადების ის მაღალი დონე და კულტურა, რაშიც გამარჯვება სრულიად დამსახურებულად მიშნაცებს დარჩათ. ამ ნომინაციაში სხვა საპრიზო ადგილები ფაქტობრივად არც გათამაშებულა!

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ჭეშმარიტებას ასცდნენ ის უცხოელი პოლიტოლოგები თუ ექსპერტები, რომელთაც 8 თებერვლის აქციაში მიშნაცების დამსახურება შეგნებულად თუ შეუგნებლად, რატომღაც ვერ შენიშნეს და მათ დემოკრატიის უფრო მეტ მიღწევად წინა წლების ხსენებულ აქციებში დემონსტრანტთა ულმერთო დარბევები ჩაუთვალეს. ამას კიდევ რა უჭირს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლებოდა მათი საქციელი გულმავიწყობით აგვეხსნა, მაგრამ საქართველოში მიმდინარე კოჰაბიტაციიდან რომ უახლესი, მსოფლიოსთვის ჯერ კიდევ უცნობი დემოკრატიული ტენდენციები გამორჩათ გულისხმიდან, ბატონებო, ეს რითი ავხსნათ? აბა, თუ მაგარი ექსპერტები არიან, დაგვისახელონ დღევანდელ მსოფლიოში მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც დანაშაულში ეჭვმიტანილ პირს უფლება აქვს, თუკი მოესურვება, პროკურატურაში თავად კი არ გამოცხადდეს, პირიქით, სადაც მოეპრიანება, გამომძიებლები, სასწრაფო დახმარების მანქანასავით, იქ გამოიძახოს.



— შეეტყობინებინათ, ბატონებო, ადრევე, ვიდრე დამდეგი დღის სამუშაო განრიგს შევადგენდი და იქ გეახლებოდით, სადაც მიბრძანდებით. რადგან ეს არ ისურვეთ, ახლა კეთილინებეთ და სამუშაო კაბინეტში თავად მეწვიეთო! — წაუყენა ულტიმატუმი პროკურატურას თბილისის მერმა გიგი უგულავამ და საწადელი კიდეც აისრულა.

აბა, როგორ, თუ დემოკრატიაა, დემოკრატია იყოს და მისი მოთხოვნები, შესაძლო დამნაშავეებთან ერთად, თანაბრად გაინაწილონ სამართალდამცავებმაც!

ამის წინააღმდეგი აბა ვინ იქნება, მაგრამ თუკი იმავე უგულავამ სამართალი საერთოდ ფეხებზე დაიკიდა და პროკურატურაში მეორედ დაძახებისასაც იგივე მოინდომა? ნურას უკაცრავად, ქალაქის მერს ერთხელ კი გაუვიდა დემოკრატიის თამაშით სიმულიანტობა, მაგრამ მეორედ უკვე ხაფანგში ორივე ფეხით გაება. ციც! — მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის უცერემონიო განცხადება, — საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდა შერჩევითი სამართალწარმოება და, ამასთან ერთად, ასევე სამუდამოდ დასრულდა პრივილეგირებული კასტის არსებობაც. ამასთან ასეთი კასტა იყო, მაგრამ აღარ იქნება და ამას როგორმე უნდა შეეგუოთ. შეიძლება ძალიან გაგიჭირდეთ, მაგრამ მაინც უნდა შეეგუოთ, კოჰაბიტაციისგან ჩვენო უზომოდ განებივრებულო ნაცუმცირესობის წარმომადგენლებო!

რა თქმა უნდა, მინისტრის მოთხოვნა, რომ კანონს ყველა თანაბრად უნდა ემორჩილებოდეს, სამართლიანია, მაგრამ მისი ხორცშესხმა არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით მოჩანს. მით უფრო დღევანდელ პირობებში, როცა კოჰაბიტაცია ახლად ფეხადგმულია და კანონის უზენაესობის სიმკაცრემ, შესაძლოა ის გაზაფხულზე მოსული თოვლივით წაყინოს. ლაპარაკია იმაზე, რომ ხალხის ფიქციურად დასაქმება, რაც კომუნისტურ ეპოქაში დანაშაულად („მკვდარ სულებად“) აღიქმებოდა და „დამსაქმებელი“ მკაცრად ისჯებოდა, ამჟამად, როცა საქართველოში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უმუშევარია, იგივე ქმედება შეიძლება მიღწევადაც ჩაითვლოს და იმავე „დამსაქმებელს“, თუკი ეს სიკეთე დანაშაულად მოუნათლეს, უმადური ხელისუფლების მიმართ პრეტენზიებიც გაუჩნდეს.

ასეთ დროს, როგორც წესი, იბადება კითხვები და, მათ შორის, ასეთიც: იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის მერს ხალხის დასაქმება (თუნდაც ფიქციური) მადლობის ნაცვლად დანაშაულად ჩაეთვლება, უგულავა მოვალე იქნება, ციხეში საკუთარი ფეხით გამოცხადდეს, თუ პირიქით, ციხე უნდა მივიდეს მასთან? და კიდევ: რატომ ჩაგრავენ მერაბიშვილს, დონაძეს, კირკიტაძეს, ჭიაბერაშვილს და ზოგიერთ სხვასაც, მხოლოდ იმიტომ, რომ პარლამენტარების ახალაიას, საყვარელიძის და ღვინიაშვილის მსგავსად არ ქედმაღლობენ და პროკურატურის გამოძახებისთანავე ქალაქიდან ქალაქში (შორეულ ქუთაისშიც) ფეხით დაჩანჩალობენ? ასეთი კანონმოყვარე „პაციენტებისთვის“ ხომ უნდა არსებობდეს რაღაც შეღავათები? აი, მაგალითად, ხომ შეეძლოთ, გურამ დონაძე, რომელიც უცხოეთიდან დასაკითხად საკუთარი სურვილით ჩამოფრინდა, გამომძიებლებს აეროპორტშივე დაეკითხათ, რათა ოპერატიულად იმავე თვითმფრინავით გაბრუნებულიყო უკან და ინგლისურის გაკვეთილები, მართალია საპატიო მიზეზით, მაგრამ მაინც არ გაეცდინა?!

ვფიქრობ, პროკურატურა ამ ნაკლს იმით გამოასწორებს, რომ ადეიშვილს, მელნიკოვს, თოფურიძეს და სხვებს, რომლებზეც საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული, მგზავრობაში ძვირფასი დრო რომ არ დააკარგვინოს, იმავე ქვეყნებში დაკითხავს, სადაც პოტენციური დამნაშავენი მალულად აფარებენ თავს. ეს იქნება უცხოეთის ქვეყნების სამართალთან ქართული კოჰაბიტაციის ერთგვარი გადაძახილი, შეიძლება ითქვას, ინტეგრაციაც კი, რაც მსოფლიო სამართლის პრაქტიკაში უჩვეულო სიახლით აღიქმება. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაერო, ევროკავშირი, ევროსაბჭო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ჩვენებური კოჰაბიტაციის ამ ორიგინალურ თავისებურებას განაზოგადებენ და ყველა მოსურნე ქვეყნის კუთვნილებად აქცევენ. ამის იმედი ნაღდად უნდა ვიქონიოთ!

**ოთარ ხუციშვილი**

კრიმინალი

### როგორ გაანადგურებინა რობაქიძის მკვლელობის კადრები გურამ დონაძემ

**გადაცემა „პატრულის“ ყოფილი პროდიუსერისა და ჟურნალსიტ მაკა რაზმაძის განცხადებით, გურამ დონაძემ ბუტა რობაქიძის მკვლელობის დღეს გადაღებული ვიდეომასალის განადგურება გადაცემის პროდიუსერს უბრძანა.**

**მისი განმარტებით, იგი სტუმრად იყო მისული გურამ დონაძესთან და შემთხვევით შეესწრო ფაქტს, როდესაც გამომძიებელი დონაძესთან მივიდა და კადრები მოითხოვა.**

**— ამ პერიოდში მე „პატრულში“ არ ვმუშაობდი. სტუმრად ვიყავი გურამ დონაძესთან მისული, რომელთანაც ვმეგობრობდი. პროკურატურიდან მოსული იყო გამომძიებელი და ითხოვდა კადრებს. დონაძე ეუბნებოდა, რომ ეს კადრები არ გააჩნია იქიდან გამომდინარე, რომ იღებენ ფირებით, რომელიც ერთ კვირაში იფშვნება. აქედან გამომდინარე ჩანს, რომ ფაქტი ერთი კვირის მომხდარი იყო. მან თავისთან დაიბარა პროდიუსერი და გამომძიებლის თანდასწრებით ჰკითხა — ხომ იფშვნება ის ფირები, რომლებითაც ვიღებთო. პროდიუსერი ვერ მიხვდა, რას ამბობდა დონაძე, თუმცა, ვინაიდან კითხვაში პასუხი ჩანდა, მას დაეთანხმა. გამომძიებელი რომ წავიდა, დონაძემ პროდიუსერს უთხრა, ის მასალა გაენადგურებინათ, — აღნიშნა მაკა რაზმაძემ.**



**მისივე თქმით, იმ დროისთვის მისთვის უცნობი იყო ბუტა რობაქიძის ამბავი. ეს ამბავი მაშინ არ იყო გახმაურებული და თავიდან ვერც მივხვდი, თუ რას ეხებოდა საქმე, — განაცხადა მაკა რაზმაძემ.**

### ძალიან მალე რობაქიძის საქმეზე ბევრი სხვა ჩვენებაც გახდება ცნობილი

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი ადასტურებს, რომ არსებობს საპატრულო პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის ზურაბ მიქაძის ჩვენება, სადაც ის მალალჩინოსნებსაც ამხელს.**

**როგორც თინა ხიდაშელმა „მაესტროს“ ეთერში, გადაცემა „პოლიტმეტრში“ სტუმრობისას განაცხადა, მას ამის შესახებ ინფორმაცია აქვს, თუმცა ეთერში ვერ ისაუბრებს. ეს არ არის ჩემი კომპეტენცია და უფლება, თუმცა ძალიან მალე საზოგადოებისთვის ბევრი სხვა ჩვენებაც გახდება ცნობილი, რომელიც დეტალურად აღწერს იმ ღამის ამბებს, — აღნიშნა ხიდაშელმა.**

**მისი თქმით, ეს ჩვენებები უტყუარი მტკიცებულებებით არის გამყარებული. „დღეს ძალიან დავიწროვდა ეს ამბავი, ბოლოსკენ მიდის გამოძიება. გიდასტურებთ, რომ კიდევ ბევრი ჩვენება არსებობს და ჩვენებებია ისეთი, რომელიც ფაქტობრივად ადასტურებს ყველაფერს. როდესაც ძალიან დავიწროვდა ეს გარემო სწორედ მაღალი თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც უშუალოდ იყვნენ პასუხისმგებელი, რომ ამ საქმეზე ჭეშმარიტება დადგენილიყო, ამიტომ გაჩნდა დღეს ეს ვიდეომასალა. ამიტომ ცდილობენ, რომ შექმნან ახალი ზღაპარი, — განაცხადა ხიდაშელმა.**

**რაც შეეხება ამირან რობაქიძის მკვლელობასთან დაკავშირებით ამ დღეებში გავრცელებულ კადრებს, ხიდაშელი მიიჩნევს, რომ ეს ფაბრიკაციაა.**

**მისი თქმით, ის ძალიან კარგად სწავლობდა თავის დროზე კრიმინალისტიკას და ასწავლიდნენ ისეთ რამეებს, რაც შემთხვევის ადგილს შეეხება. „ნებისმიერი ადამიანისთვის, ვინც ამ მასალას უყურა, იქ ნათელია, რომ მასალა გაყალბებულია. ჩვენ ვხედავთ კადრებს, სადაც ბიჭები მიწაზე წვანან, როდესაც დროის ძალიან მცირე მონაკვეთში, აქ საუბარია 5-8 წამის სხვაობით, იცვლება ბიჭების მდგომარეობა. ანუ, ჩვენ ვხედავთ თავიდან მათ განლაგებას, როდესაც ისინი დააწვინეს მიწაზე და შემდეგ, რამდენიმე წამში მათი განლაგება იცვლება, თუ ეს არის უწყვეტი მასალა, რამდენიმე წამში ეს შეუძლებელია. დღეს ცდილობენ ჩვენ შეგვიქმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ იქ იყო იარაღი. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ამ კადრებით, არაფერი მსგავსი არ დადასტურებულა, — აღნიშნა ხიდაშელმა.**

**რაც შეეხება ბუტა რობაქიძის მამის განცხადებას, მან აღნიშნა, რომ სპეცოპერაციის შედეგად აყვანილი სხვა ახალგაზრდების დაკავების ბრძანება უშუალოდ ირაკლი ოქრუაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა გასცეს.**

**მისი თქმით, გუშინ კიდევ ერთი მასალა მოიპოვა. კერძოდ, დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილებაში გამომძიებელმა ნინო შარაძემ ბუტა რობაქიძესთან ერთად მანქანაში მყოფი ახალგაზრდები იმავე დღეს გაათავისუფლა იმის გამო, რომ ანაბეჭდები ვერ ნახეს.**

**— დღეს მოვიპოვე მასალა — მოსამართლე ნინო შარაძემ პირველივე დღეს ეს ბიჭები გაათავისუფლა, რადგან იარაღზე ვერც ერთი მათგანის თითის ანაბეჭდი ვერ ნახა. მეორე დღეს, როცა ბიჭები მოვიდნენ პანაშვიდზე, მითხრეს, გვიჭერენო, რადგან ეს იყო ადეიშვილის და ოქრუაშვილის ბრძანება, შარაძეს კიდევ, რაც უთხრეს, ეს განაჩენი სად წაეღო, იმას ვერ გავიმეორებ, — აღნიშნა გუშინ სოსო რობაქიძემ.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილის პარტია რუსეთისგან კომპენსაციას მოითხოვს „ოკუპაციის გამო“

**აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების შედეგად მიყენებულმა ზარალმა 40 მილიარდი დოლარი შეადგინა, მიაჩნიათ თბილისში**

**მიხეილ სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უბრუნდება საკითხს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „ოკუპაციისგან“ მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით. 21 თებერვალს ქუთაისში პარლამენტის სხდომაზე საქართველოს სახელმწიფო ღირებულების აღდგენის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე შოთა მალაშხია გამოვა მოხსენებით, რომელშიც, ჩვენი ინფორმაციით, მოუწოდებს პარლამენტს მოითხოვოს მოსკოვისგან კომპენსაცია.**

— რუსეთმა უნდა გადაიხადოს კომპენსაცია საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისთვის, — განაცხადა ჩვენთან საუბარში შოთა მალაშხიამ. — ჩვენ რამდენიმე წლის განმავლობაში ვმუშაობდით ამ საკითხზე, მივმართეთ საერთაშორისო სასამართლოებს სტრასბურგსა და ჰააგაში სარჩელით, მივაღწიეთ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ოკუპაციის ფაქტის აღიარებას, ახლა კი ვთავაზობთ „ქართულ ოცნებას“, შექმნას სახელმწიფო კომისია და საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოს.

მისი სიტყვებით, ასეთი კომისიის შექმნის პრეროგატივა მთავრობას ეკუთვნის. მან უნდა დაავალოს შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს მოახდინონ ზარალის დეტალიზება კონკრეტული მიმართულებებით (ეკონომიკა, ეკოლოგია და ა.შ.) და საერთაშორისო ტენდერების მეშვეობით მიიზიდოს იურიდიული ფირმები საქართველოს ინტერესების დასაცავად დანაკარგების ანაზღაურების საკითხში.

— ასეთია ჩვენი ინიციატივის არსი, — თქვა დეპუტატმა.

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის კომისიაში დაიანგარიშეს ზარალი 1990-იანი წლების დასაწყისიდან, ამტკიცებენ, რომ მაშინდელი კონფლიქტები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ინსპირირებული იყო რუსეთის მიერ. საერთო დანაკარგები თბილისმა შეაფასა 40 მილიარდი დოლარის დონეზე. დღეისთვის ოფიციალურად მხოლოდ ლიტვამ განაცხადა იმის შესახებ, რომ რუსეთმა უნდა აუნაზღაუროს ქვეყანას მისთვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალი. ქვეყნის ექსპრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა რამდენიმე წლის წინათ დაასახელა თანხა 28 მილიარდი დოლარის ოდენობით. რუსეთმა ამ პრეტენზიას უსაფუძვლო უწოდა.

პარალელურად საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატთა არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოყო შვიდი ექსპერტი, რათა გაარკვიონ, შეუძლია თუ არა საქართველოს დააყენოს რუსეთის, როგორც სსრ კავშირის სამართალმემკვიდრის, წინაშე საბჭოთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით მოქალაქეთა წვლილის დაკარგვის საკითხი. არასამთავრობო ორგანიზაციამ ამ კვირას ყოფილი 14 საბჭოთა რესპუბლიკის პარლამენტებსა და უმაღლეს სასამართლოებს გაუგზავნა შეკითხვები, რათა გაითვალისწინონ მათი მოქმედების გამოცდილება ამ მიმართულებით, გვაცნობა მისმა ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთთან ურთიერთობებში ზურაბ აბაშიძემ, რომელიც ემზადება 1 მარტისთვის დაგეგმილი მოლაპარაკების მეორე რაუნდისთვის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან, გვაცნობა, რომ ამ ეტაპზე კომპენსაციების შესახებ საკითხის დაყენება დაგეგმილი არ არის. მაგრამ ახალგაზრდა ადვოკატები არ გამორიცხავენ, რომ უახლოეს თვეებში პრობლემა შეიძლება აქტუალური გახდეს. ამ გამოკვლევათა საფუძველზე არასამთავრობო ორგანიზაცია მაისისთვის მოამზადებს კანონპროექტს და შეიტანს მას პარლამენტში.

„ქართული ოცნების“ დეპუტატმა, საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ინიციატივა შეიძლება იყოს „საინტერესო“, თუმცა, იგი მცირე პესპექტივას თუ ხედავს მის რეალიზაციაში. ამავე დროს „კანონპროექტი აუცილებლად იქნება განხილული“, — გვაცნობა დეპუტატმა.

— მოითხოვო რუსეთისგან გადახდა — ეს უბრალო ფაქტია, ვინაიდან რუსეთი სულაც არ გრძნობს თავს ოკუპანტად, მაშასადამე, არაფერსაც არ გადაიხდის. ეს დროის ამაო დაკარგვაა, — განაცხადა დიპლომატიური აკადემიის ყოფილმა რექტორმა სოსო ცინცაძემ.

თავისი მოქალაქეების წინაშე საბჭოთა ანაბრების ვალები საქართველომ საშინაოდ მიიჩნია, თუმცა, არ არსებობს მათი მოცულობის ზუსტი მონაცემები. არანაირი გადახდები არ განხორციელებულა.



ИЗВЕСТИЯ

# საქართველო მაგალითს სომხეთიდან იღებს

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს არ აქვს ნატოსა და ევროკავშირში მალე შესვლის იმედი**

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ეჭვი გამოთქვა, რომ საქართველო მალე შევა ნატოსა და ევროკავშირში. მიუხედავად ამისა, თბილისი უარს არ აცხადებს პროდასავლურ კურსზე, თუმცა, შეეცდება ააგოს ნორმალური ურთიერთობა რუსეთთანაც. პრემიერ ბიძინა ივანიშვილის აზრით, ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის მაგალითი შეიძლება სომხეთი გახდეს.**

„თქვენგან განსხვავებით, ჩვენ არ დავიწყებთ შევქმნათ საზოგადოების გაზრდილი მოლოდინი ნატოსა და ევროკავშირში სწრაფი შესვლის პერსპექტივასთან დაკავშირებით, — აღნიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა საპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრის დროს. — ალბათ, არც წელს და არც გაისად ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე გარღვევა არ იქნება“. მისი სიტყვებით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაპირება ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღების შესახებ 2013 წლის 1 იანვრიდან „იყო მხოლოდ წინასაარჩევნო რიტორიკა“.

სხვათა შორის, საქართველოს ახალი ხელისუფლება უარს არ იტყვის პროდასავლურ კურსზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა და მისმა პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაიწყეს. როგორც მინისტრმა გვაცნობა, უახლოეს პერიოდში საქართველოში გაიმართება ნატოს საბჭოს გამსვლელი სხდომა ელჩების დონეზე ალიანსის გენერალური მდივნის თავმჯდომარეობით. თბილისში ელოდებიან ნატოს სამხედრო კომიტეტის წევრების ვიზიტსაც. მაია ფანჯიკიძემ ასევე გამოთქვა იმედი, რომ წლის ბოლოსათვის დაგეგმილი სამიტის დროს „საქართველო გააფორმებს ხელშეკრულებას ასოციაციის შესახებ ევროკავშირთან, შეთანხმებასთან ერთად სავიზო რეჟიმის შემსუბუქებისა და თავისუფალი ვაჭრობის ზონასთან დაკავშირებით“.

ამავე დროს საქართველოს განზრახული აქვს დაამყაროს ნორმალური კონტაქტები ყველა თავის მეზობელთან, მათ შორის რუსეთთანაც. როგორც ამ დღეებში პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ამ თვალსაზრისით შეიძლება შეგშურდეს სომხეთისა, რომელმაც შეძლო აეგო კარგი ურთიერთობანი როგორც ნატოსთან, ისე რუსეთთან.

„სომხეთმა არ გამოთქვა სურვილი შევიდეს ნატოში, იქ არის რუსეთის ბაზა, მის საზღვრებს კი იცავენ რუსეთის ჯარები. ასე რომ, შეგშურდეს მისი — ნიშნავს ეჭვქვეშ დააყენო ჩვენი ქვეყნის მისწრაფება ალიანსისკენ და გამოთქვა მზადყოფნა, მიიღო სომხური მოდელი“, — აღშფოთება გამოთქვა ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აკაკი მინაშვილმა. „ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის, რომ საქართველო უნდა ისწრაფოდეს შეინარჩუნოს ნორმალური ურთიერთობანი ყველასთან, ვისთანაც ეს ურთიერთობანი აქვს“, — განმარტა მინისტრმა და დააზუსტა, რომ საქართველოს ახალი მთავრობისთვის სომხეთის გამოცდილება „საინტერესოა, ვინაიდან ქმნის შესაძლებლობას, შევინარჩუნოთ თანაბარი ურთიერთობანი, თითქოსდა, შეუთავსებელ სუბიექტებს შორისაც“.

მართალია, მაია ფანჯიკიძემ ისაუბრა „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა მოწესრიგებაზე“, მაგრამ მან ამავე დროს შეგვახსენა, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი „ოკუპირებულია“ რუსეთის მიერ. ამრიგად, მან გამოთქვა ეჭვი კანონში ოკუპაციის შესახებ ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილებასთან დაკავშირებით, რომლებიც ითვალისწინებენ ჯარიმას პატიმრობის ნაცვლად აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის საზღვრების რუსეთელების მიერ „უკანონო გადაკვეთისთვის“. კანონში ასეთი ცვლილებების შეტანის წინადადება წამოაყენა მისმა კოლეგამ, საქართველოს რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა.

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე




**„ღვთის ნაწილის“ აღმოჩენამ სამყარო დაღუპვისთვის გაწირა: იგი უბრალოდ გასკდება, როგორც საპნის ბუშტი**

თუმცა, ეს მოხდება არა უადრეს ათობით მილიარდი წლის შემდეგ და სინათლის სხივის სიჩქარით. ასე რომ „ვერავინ ვერაფერს იგრძნობს“, გვამშვიდებს ამერიკელი მეცნიერი, რომელიც მუშაობდა დიდ ბირთვულ კოლაიდერზე. ჩვენი სამყაროს არასტაბილურობა ბოზონ ჰიგსის მასის მნიშვნელობამ დაადასტურა. ამჟამინდელი სამყაროს ნაცვლად შეიძლება გაჩნდეს ალტერნატიული.

* * *

**ჰიჩკოკი რეალობაში: ამერიკის ქალაქს „მილიონობით“ ფრინველმა შეუტია, მათ მზე დააბნელეს**



ფრინველები არა მხოლოდ აშინებენ ქალაქ ჰოპკინსვილის (კენტუკის შტატი) მცხოვრებლებს, არამედ მოაქვთ რეალური ზიანიც: გზებზე, მინდვრებსა და მანქანებზე ტოვებენ სკინტლის დიდ მასას. ამას გარდა, ფრინველები არიან ინფექციების გადამტანები. მათ დაფრთხობას ცდილობენ ფეიერვერკებითა და საჰაერო ქვემეხებით, მაგრამ მათი ხმაური მხოლოდ მცხოვრებლებს აშინებს, ფრინველებზე კი არ მოქმედებს.

* * *

**ლავროვის ეშტონთან შეხვედრაზე რუსეთი სავიზო შეღავათების გარეშე დატოვეს....**



როგორც ელოდებოდნენ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი და ევროკავშირის წარმომადგენელი უცხოეთის საქმეებთან დაკავშირებით, შეეხნენ უვიზო რეჟიმის თემას. ამას გარდა, ლატვიელმა მინისტრმა მოუწოდა სერგეი ლავროვს შეამსუბუქონ ბალტიისპირეთში საზღვრების გადაკვეთის პროცესი. რაც შეეხება ნებაყოფლობით სამხედრო თანამშრომლობას, რუსეთი თავისთვის მოითხოვს უპრეცედენტო პრივილეგიებს, დარწმუნებული არიან ევროკავშირში.

* * *

**ბრიტანეთის პარლამენტში, შეიძლება, ასევე ცხენის ხორცით კვებავდნენ კლიენტებს. ამოღებულია ხორცის პროდუქცია**

პარლამენტართა კვების ორგანიზაციის სამსახურმა უკან გაიწვია ნახევარფაბრიკატები, რომლებსაც აწვდიდა მენარდე კომპანია. ხორცის პროდუქციას იყენებდნენ კერძების მოსამზადებლად ვესტმინსტერის სასახლის 28 სასადილოში, ბუფეტში, რესტორანსა და კაფეში. იქ იკვებებიან თემთა პალატის, ლორდთა პალატის წევრები და აპარატის თანამშრომლები.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ეს იყო, იყო...

# აფხაზური მხარე ისტორიის გათეთრებას ცდილობს

(მეექვსე გვერდიდან)

**— თქვენ, როგორ მამუკა არეშიძემ, პირადად რა იცით, რა მოხდა გაგრაში?**

— გაგრაში მოხდა საშინელი ფაქტები. ის, რაც მოხდა გაგრაში და რაც ქართველმა საზოგადოებამ ნახა, ეს არის ჩვენს მიერ „საღამო მშვიდობისას“ კოლექტივის მიერ ნაყიდი კასეტა. ჩვენ ეს კასეტა ვიყიდეთ და 50 ათასი გადავიხადეთ მაშინ, სწორედ ეს კასეტა ნახა მერე მთელმა საზოგადოებამ. იქ, ქუჩაში უამრავი მოკლული ადამიანი ყრია, როგორც სამხედრო ფორმაში, ისე არა სამხედრო ფორმაში და ის, რასაც ბესლან კობახია ლაპარაკობს, ეს არის პროპაგანდისტური ამბავი.

მან ძალიან კარგაც იცის, გაგრაში რა ხდებოდა. მაგალითად, გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ტრაგედიას ჩემი ცნობიერებიდან ვერავინ ვერ ამოშლის. სახელებითა და გვარებით ვიცი, იქ ვინ რა ჩაიდინა. ეს იყო გუდაუთის რაიონში არსებული ქართული სოფელი, რომელსაც ალყა შემოარტყეს და ამოწყვიტეს. ქალები გააუპატიურეს, ბავშვები დახოცეს და რა ვიცი, კიდევ რა არ გააკეთეს. ეს რაჭველების სოფელი იყო. რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ეს ყველაფერი ვიცით. უბრალოდ მე და იგივე პაატა ზაქარეიშვილს არ გვინდა ახლა ამ საკითხების პედალირება. ამაზე რომ ვილაპარაკოთ გაუთავებლად, ეს მხოლოდ ჩვენი მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს. ამაზე ბევრი რამ არის ნათქვამი, უამრავი წიგნი დაიბეჭდა, თამაზ ნადარეიშვილმა მთელი ფუნდამენტური შრომები მიუძღვნა ამ მასალების შეგროვებას და მეცნიერთა ჯგუფებმა, ისტორიკოსებმა უამრავი შრომები მიუძღვნეს ყოველივე ამას და ყველაფერი ეს დოკუმენტურად შეაგროვეს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ისტორიის საკუთრებაა, უბრალოდ ჩვენ ეს ყველაფერი ვიცით და ვიცით, საერთაშორისო დოკუმენტები ამის თაობაზე. თუმცა, იმისთვის, რომ წინ ვიაროთ, საჭიროა სხვა რაღაცაზეც ვილაპარაკოთ ამის გარდა, ხოლო სხვა რაღაცები კი არის სამშვიდობო პროცესი, ქართულ-აფხაზური დაახლოება და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვა, ხოლო ჩვენ თუ ვილაპარაკეთ გაუთავებლად, რა მოხდა მაშინ — ეს არ დამთავრდება.



**— ვისგან იყიდეთ ეს კასეტა?**

— რუსებისგან, რუსი ჟურნალისტებისგან. სხვათა შორის მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჟურნალისტები, მათი ხელმძღვანელობის დაკვეთით, გაგიჟებულები ეძებდნენ მყიდველს. ეს არ იყო ძვირი ფასი. მაშინ 50 ათასი ძალიან დიდი ფული არ იყო. ამიტომაც ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს კასეტა სპეციალურად შემოგვაპარეს იმიტომ, რომ განსაკუთრებული აღშფოთება გამოეწვია ქართულ საზოგადოებაში და ომი ახალი ძალით გაგრძელებულიყო.

**ესაუბრა**
**ეკატერინე მომცელიძე**

ფეისბუქიდან

# თითქოს არც არსებობდეს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**უცნაურზე უცნაურია, რომ კულტურის სამინისტროში შეიქმნა წიგნისა და ლიტერატურის დარგში მინისტრის საკონსულტაციო საბჭო და .... თითქოს არც არსებობდეს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი — სამეცნიერო კერა, ჩვენი მშობლიური ლიტერატურის საუკეთესოდ პატრონობის მრავალწლიანი გამოცდილებით. ამ საბჭოში ადგილი ვერ მონახულა ქართული ლიტერატურის მცოდნე მეცნიერის ან კრიტიკოსისთვის! თურმე პატივცემულ მინისტრს ამ საქმეში ახლობელი დამწყები პოეტები და მწერლები ურჩევნია. აი, ეს ხართ!**

**ნინო დარბაისელი,**
**პოეტი.**

**P. S. სხვანაირად რომ არავინ იფიქროს, აქვე ვადასტურებ ჩემს პატივისცემას როგორც ლიტერატურის ინსტიტუტში, ასევე „ველზე“ დასაქმებული ლიტერატორებისადმი.**

**მიხეილ ღანიშაშვილი: რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია ლიტერატურის ინსტიტუტის, პროფესიონალ ლიტმცოდნეთა უგულებელყოფა კულტურის სამინისტროს მხრიდან!**

**ასევე გულდასაწყვეტია, რომ კულტურის სამინისტრო აგრძელებს კასტურობის ტრადიციას:**

**დამოუკიდებელი სამწერლო გაერთიანება კავშირი „მარად ახალი ქნარი“, რომლის თავმჯდომარეც გახლავართ და რომელიც აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც უანგაროდ ემსახურება ქართული კულტურის, ხელოვნებისა და მწერლობის საქმეს, ასევე ყოვლად უყურადღებოდ იყო და არის მიტოვებული!**



**ჩვენი ცნობილი, მუდმივმოქმედი „ლიტსემინარები“ გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე ის ოფიციალური სამწერლო ორგანიზაციები, რომლებიც ყოველთვის ფინანსდებოდნენ და ფინანსდებიან დღესაც.**

**ვითომ რატომ არ შეიძლებოდა ან განა უფრო უპრიანი არ იქნებოდა, რომ ყველა მეტ-ნაკლებად სერიოზული, აკადემიური და მოქმედი ლიტდაჯგუფების თუნდაც ერთი წარმომადგენელი მაინც დაეპატიჟებინათ მაგ საბჭოში?!..**

**საკონსულტაციო საბჭოში სულ სხვები შეუყვანიათ!**

**დაფინანსებითაც ისევ ისინი დაფინანსდებიან!**

**საკითხავი მხოლოდ ის არის, რა ნიშნით, რა მოტივაციით შედგა და შეიკრიბა საკონსულტაციო საბჭო?!.**

**თუმცა ან აქ რაა საკითხავი!....**

**გია არგანაშვილი:** ნაწილობრივ გეთანხმებით, ქალბატონო ნინო, რადგან ვერც ლიტერატურის ინსტიტუტი მოიცავს სრულად ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს და ვერც კულტურის სამინისტრო (აღარაფერს ვამბობ მწერალთა კავშირებზე და დაჯგუფებებზე). რამდენადაც ვიცი, წინა ხელისუფლების დროსაც მუშაობდა საკონსულტაციო საბჭო კულტურის სამინისტროში. მერიაც პატრონობდა რამდენიმე გამორჩეულ შემოქმედს... თუმცა, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ათეულობით ლიტერატორი ამ პროცესების მიღმა რჩებოდა და დარჩება მომავალშიც.... ნურც იმას ვიტყვით, რომ ლიტერატორთა საუკეთესო ნაწილი მხოლოდ ინსტიტუტებში, სამინისტროებში და საკონსულტაციო საბჭოებშია გადანაწილებული. ამგვარი „ზუსტი“ გაყოფა პრაქტიკულად შეუძლებელია... ასე, რომ მეც განვიცდი სამინისტროს ცალმხრივ დამოკიდებულებას ლიტერატურული პროცესებისადმი. თუმცა, სხვანაირად რომ მოხდარიყო, მე ის გამიკვირდებოდა...

მომგებიანი იქნება

# ნახშირის თბოსადგურების აშენება ტყიბულელ მეშახტეებსაც წაადგებათ

**ენერგეტიკის სამინისტრო აპირებს ქვეყანაში რამდენიმე ნახშირზე მომუშავე თბოსადგური ააშენოს, რასაც ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში რეზო არველაძე საშურ და, შეიძლება ითქვას, დაგვიანებულ ნაბიჯსაც კი უწოდებს. მისი განმარტებით, მსოფლიოში ელექტროენერგიის დაახლოებით 60 პროცენტს თბოსადგურები გამოიმუშავებენ. მათგან 70 პროცენტი ნახშირზე მომუშავეა. ამ მიზნით ნახშირს აქტიურად მოიპოვებენ აშშ-ში, გერმანიაში, ჩინეთსა და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.**

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის მარიამ ვალიშვილის განცხადებით, თბოსადგურები შესაძლებელია აშენდეს ვალეს ან ტყიბულის ნახშირის საბადოებთან. მისივე განმარტებით, სამინისტროში შექმნილი სპეციალური ჯგუფი ამუშავებს პროექტების ტექნიკურ დასაბუთებას. მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ თბოსადგურებისათვის შესაძლებელია ვალეს ნახშირის გამოყენებაც, თუ კი მას სხვადასხვა მინარევებით გავამდიდრებთ.

ენერგეტიკის ექსპერტს მიაჩნია, რომ ჩვენი ნახშირი მაღალი კალორიულობითა და ხარისხით არ გამოირჩევა, თუმცა, ამ რესურსის გამოყენება შესაძლებელია. ტყიბულის ნახშირის კილოკალორიულობა 4 ათასია, ნაცრიანობა კი 40-45 პროცენტია, რაც არველაძეს, არცთუ ისე მაღალი ხარისხის ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს აძლევს. მაგრამ ვალეს ნახშირი უფრო უარესია. მისი ნაცრიანობა 60 პროცენტია, — ამბობს ექსპერტ-ეკონომისტი. რაც შეეხება ვალიშვილის განცხადებას ვალეს ნახშირის მინარევებით შესაძლო გამდიდრების თაობაზე, არველაძე განმარტავს, რომ ეს პროცესი მის თვითღირებულებას გაზრდის და ადვილი შესაძლებელია ქვანახშირზე მომუშავე გაზზე მომუშავე თბოსადგურთან შედარებით, არაკონკურენტუნარიანი გახდეს.

ექსპერტის ინფორმაციით 2 ტ. ნახშირისგან მიიღება 1 ტ. პირობითი საწვავი, რაც 50-60 დოლარი დაჯდება. გაზზე მომუშავე თბოსადგური კი გაცილებით ძვირი ჯდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბუნებრივ აირში აზერბაიჯანს 240 დოლარი უნდა გადავუხადოთ, გამოდის, რომ 1 ტ. პირობითი საწვავი ბევრად უფრო იაფია, ვიდრე ათასი კუბ-მ გაზი.

სახელმწიფოს გარდა, ნახშირზე მომუშავე თბოსადგურის მშენებლობას აპირებს კომპანია **„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“,** რომელიც ტყიბულის მაღაროების მფლობელია. მისი დირექტორის **ნათია თურნავას** განცხადებით, სადგურის აშენება გარდაბანში იგეგმებოდა და ის მხოლოდ ტყიბულის ნახშირზე იმუშავებს. წლიური გამომუშავება 1,2 მლრდ კილოვატსაათი ელექტროენერგია იქნება. ამას ყველაფერს 100 მლნ დოლარის ინვესტიცია ჭირდება. ტყიბულიდან ჩამოიზიდება მილიონ ტონამდე ნახშირი. ინვესტორთაგან მოლაპარაკება მხოლოდ თურქულ MIMSAN GROUP-თან მიმდინარეობს. თურნავას განმარტებით, უცხოელი ინვესტორები ნახშირზე მომუშავე თბოსადგურებისადმი დიდ ინტერესს იჩენენ. კომპანიას შორს მიმავალი გეგმებიც აქვს. ისინი აპირებენ გამომუშავებული ელექტროენერგია თურქეთში გაყიდონ. იმის მიხედვით, რომ ამ ქვეყანაში ჩვენი ექსპორტი კვტ/საათი 6-7 ცენტად გადის, კომპანია წლიურად 84 მლნ დოლარის შემოსავალს მიიღებს.

გარდაბნის სადგურის მშენებლობაზე 300-მდე ადამიანი დასაქმდება. პარალელურად გაიზრდება „საქნახშირის“ წარმადობა და შესაძლებელი იქნება ტყიბულელი მაღაროელების სოციალური პირობების გაუმჯობესება და იქვე, ახალი პროექტების განხორციელება. ექსპერტ ზურაბ მგელაძის განმარტებით, ტყიბულში ნახშირის დიდი მარაგია — 300 მლნ ტონაზე მეტი, რაც კარგა ხნის შეუჩერებელი მუშაობის გარანტია.

**ინფორმაცია განსჯისთვის: ამჟამად საქართველოს ენერგოსისტემაში 3000 მგვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრეა, აქედან 2700 მოდის ჰიდროელექტროსადგურებზე. დანარჩენი თბოელექტროსადგურებზე. დღეს საქართველოში მხოლოდ გაზზე მომუშავე ელექტროსადგურებია.**

**წინა საუკუნეში, საქართველოში თბოელექტროსადგურების მშენებლობა ჰიდროელექტროენერგიის დეფიციტის გამო დაიწყო. 1938 წ. ჩაირთო ტყვარჩელის თბოსადგურის პირველი აგრეგატი და თბილისის თბოელექტროსადგური.**

**1963 წელს ექსპლოატაციაში შევიდა „თბილსრესის“ პირველი ბლოკი, ხოლო 1972 წელს ამუშავდა მისი მერვე ბლოკი, რამაც ჯამში 1,250 ათასი კვტ/საათი შეადგინა.**

**1990 წელს გაუშვეს „თბილსრესის“ მეცხრე ენერგობლოკი, 1994 წელს კი ამუშავდა მეათე ენერგობლოკიც.**

**ექსპერტები ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ ნახშირის თბოსადგურების მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით აუცილებლად მომგებიანი იქნება.**

**ზაზა ბილიხოძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ახალი სახე

# ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად გელა ბერუაშვილი აირჩიეს



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში ქართული ჭიდაობის ფედერაციის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა გაიმართა.**

**ყრილობაზე დღის წესრიგის ძირითადი საკითხი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები იყო.**

ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტობისათვის 5 კანდიდატი იბრძოდა - გელა ბერუაშვილი, უშანგი ყურაშვილი, კაკო ბორცვაძე, ნოდარ სირბილაშვილი და პაატა ურიათმყოფელი.

საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის უფლების მქონე მოწვეული 49 დელეგატიდან მონაწილეობა 47-მა მიიღო.

არჩევნების მსვლელობისას უშანგი ყურაშვილმა, კაკო ბორცვაძემ და პაატა ურიათმყოფელმა კანდიდატურები მოხსნეს. ფარულ კენჭისყრაში გელა ბერუაშვილმა 28 ხმა მიიღო, ნოდარ სირბილაშვილმა კი — 19. შედეგად, გელა ბერუაშვილი ქართული ჭიდაობის ფედერაციის ახალ პრეზიდენტად დამტკიცდა. ფედერაციის ახალი შემადგენლობის ასარჩევად ბერუაშვილმა 1-კვირიანი ვადა მოითხოვა.

ქართული ჭიდაობის ფედერაციის საარჩევნო ყრილობას მოწვეული სტუმრების სტატუსით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე ესწრებოდნენ.

ქართული ჭიდაობის ფედერაციას 2012 წლის აპრილიდან რამაზ ხატიაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელმაც პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა.

**მანუჩარ გიორგაძე**

ფეხბურთი

# ბავარიელთა ყვავილობა

**უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ წლეულს იუპ ჰაინკესი ოფიციალურად დაასრულებს სამწვრთნელო კარიერას.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ მიუნხენის „ბაიერნმა“ ფინიშამდე კარგა ხნით ადრე პრაქტიკულად გადაჭრა ბუნდესლიგაში გამარჯვების საკითხი, სადაც უახლოეს მდევარს 15 ქულით უსწრებს და გერმანიის თასის გათამაშებაში მეოთხედფინალამდეც მიაღწია (იქ ბოლო სეზონებში უმთავრეს მეტოქეს დორტმუნდის „ბორუსიას“ შეხვდება), წლის გვირგვინად ჩემპიონთა ლიგის მოგება იქცევა. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ ამით გამოცდილი სპეციალისტი ერთგვარ რეაბილიტაციას მოიწყობს შარშან ლონდონის „ჩელსისთან“ მშობლიურ „ალიანს არენაზე“ დრამატული ფინალური მატჩის წაგების გამო.

ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ რეკორდმაისტერმა „არსენალის“ გასვლით რაუნდში დაშამათებით ცალი ფეხით მეოთხედფინალში შეაბიჯა — 3:1, თანაც ამას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, კლასის ხარჯზე მიაღწია (კროოსი, მიულერი, მანჯუკიჩი; პოდოლსკი).

სამაგიეროდ, კაცი ვერ იწინასწარმეტყველებს,



როგორ განვითარდება მოვლენები „პორტუსა“ და „მალაგას“ საპასუხო ბრძოლაში. რაც შეეხება მეზობელთა პირველ ჯახს, მინიმალური უპირატესობა მასპინძლებმა მოიპოვეს — 1:0 (მოუტინიუ).

დავძენთ, რომ ეს ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი ესპანური კლუბის პირველი მარცხია ელიტურ საზოგადოებაში.

**გიორგი შოთაძე**

მომავალი წიგნიდან

# ასეთად დამამახსოვრდა იგი

**ახლახან ღირსეულად აღინიშნა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, თანამემამულეთა შორის ყველა ოფიციალური სანაკრებო ტურნირის (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ოლიმპიადები) ერთადერთი პრიზიორის მურთაზ ხურცილავას 70-ე წლისთავი.**

**ტრადიციისამებრ, ძვირფასი მეგობრის საიუბილეო თარიღს მორიგი კრებულით ეხმაურება სპორტსმენთა ერთგული კალმოსანი დემიკო ლოლაძე. მისი თავაზიანი ნებართვით, დღეს გთავაზობთ ბატონ ემზარ კვიტაიშვილის წერილს მომავალი წიგნიდან.**



სპორტის სახეობათაგან ყველაზე მეტად ფეხბურთი მიყვარს და სიჭაბუკის ეს გატაცება დღემდე არ გამნელებია. განსაკუთრებით მეამაყებოდა, რომ ქართულმა ფეხბურთმა აღზევებას მაშინ მიაღწია, როცა თბილისის „დინამოში“ ჩემი თაობის ბიჭები თამაშობდნენ. მეც და სხვებსაც ისინი (შოთა იამანიძე, მიხეილ მესხი, გივი ჩოხელი, ვლადიმერ ბარქაია, სერგო კოტრიკაძე, მურთაზ ხურცილავა, რეზო ძოძუაშვილი და სხვები) დილმის საწვრთნელ ბაზაზე გაგვაცნო გურამ ფანჯიკიძემ, ვინაც ქართულ ფეხბურთს, როგორც ჟურნალისტმა, განუზომელი ამაგი დასდო. მის ღირსეულ მემკვიდრედ მესახება ნიჭიერი ჟურნალისტი და ფოტოხელოვანი დემიკო ლოლაძე. მან წიგნების მთელი სერია გამოაქვეყნა ჩვენი ფეხბურთის ვარსკვლავებზე და ძალიან გამეხარდა, რომ ამჯერად თავისი არჩევანი მურთაზ ხურცილავაზე შეაჩერა.

მურთაზ ხურცილავას სახელი პირველად 1960 წლის ზამთარში გავიგონე. თბილისის „დინამო“ ახალი დაბრუნებული იყო ფრანგული ტურნედან, სადაც მან ფურორი მოახდინა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამარჯვებულებს შეხვედრა მოუწყო და ჩემმა დაუვიწყარმა ზაურ ბოლქვაძემ მითხრა — უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ერთად დავსწრებოდით იმ შეხვედრას. ხვავრიელად მოთოვა იმ დღეს. ჭადრები და ფიჭვები თეთრად იყო შებუმბლული, თვალს სიამოვნებდა.

განწყობილებაც ამაღლებული, პოეტური გვქონდა. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები თავს ევლებოდნენ ფეხბურთელებს, რომელთაც ყველა მათგანის კეთილი მრჩეველი და უფროსი მეგობარი, ყველა დროის სამაგალითო სპორტსმენი ავთანდილ ღოღობერიძე მეთაურობდა. მახსოვს, ჩვენმა გამოჩენილმა ისტორიკოსმა, ბატონმა შოთა მესხიამ როგორი სითბოთი მიმართა მიხეილ მესხს — იცოდე, ჩვენი გვარი ერთი ძირიდან მოდის და ოდესღაც განაყოფი ნათესაობიდან მოვდივართო. ამაზე ტაში ატყდა.

სამადლობელი სიტყვა ავთანდილ ღოღობერიძემ წარმოსთქვა. მუქი ფერის პიჯაკი და თბილი, უჯრულა ხალათი ეცვა, ლაღად გამოიყურებოდა. რას ვიფიქრებდით მაშინ, რომ ავტოავარიაში მოხვედრილი, დიდი ხნით მიეჯაჭვებოდა საწოლს და სიცოცხლე ჯოჯოხეთად ექცეოდა. იმ საღამოსვე ილაპარაკა ქართული ფეხბურთის მიღწევებსა და მომავალზე. დასასრულ აღნიშნა, რომ „დინამოში“ მოვიდა საუკეთესო მონაცემების მქონე ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი და გუნდში ცენტრალური მცველის პრობლემა, ჩვენდა საბედნიეროდ, გადაჭრილი იქნებაო. დაასახელა იმ ყმაწვილის სახელი და გვარიც — მურთაზ ხურცილავა. ისე ყველა კეთილი სურვილი ასრულებოდეს საქართველოს, როგორც ავთანდილ ღოღობერიძის მაშინდელი ნათქვამი ახდა.

ალარ დავიწყებ იმაზე ლაპარაკს, როგორი საამაყო ფეხბურთელი გახდა მურთაზ ხურცილავა (სხვაგვარად ვინ აირჩევდა მას საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტნად). გესაუბრებით მხოლოდ რამდენიმე უცნაურ და სახალისო ეპიზოდზე, ჩემი ძველი მეგობრის, ამირან წეროძის უმცროსი ძმის, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორის, თბილისის „დინამოს“ პირველი პრეზიდენტის ოთარ წეროძისაგან რომ მსმენია. ოთარს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ევალებოდა და კიდევაც ეხალისებოდა, სხვადასხვა ქალაქებში თან წაჰყოლოდა ქართველ ფეხბურთელებს, რომლებთანაც გულითადად მეგობრობდა.

მან გაიხსენა 1968 წელი, როცა მოსკოვში „ტორპედოს“ ძლიერ გუნდს მოვუგეთ (2:0) და ერთი ბურთი მოედნის ცენტრიდან გაიტანა მცველმა ვახტანგ (ბიჭი) ჭელიძემ. ბუნებრივია, ქართველები კარგ გუნებაზე დადგებოდნენ.

ოთარი, გურამ პეტრიაშვილთან და მურთაზ ხურცილავასთან ერთად, სასტუმრო „როსიის“ მოფარებულ და მყუდრო „ოქროს დარბაზში“ სასაუზმოდ შესულა. მათი მყუდროება დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე შემატებიათ ნაბახუსევი, პირგამშრალი ქართველები და იმხანად ერთობ დეფიციტური ჩეხური ლუდის დალევა მოუწადინებიათ. ნახევარი საათის შემდეგ ოცდაათამდე ქართველი უჯდა სუფრას. ერთი, ასაკით ჩვენზე უფროსი, შეჭაღარავებული კაცი ვერ შევიცანი, — ჰყვება ოთარი.

რესტორანში მყოფნი დიდხანს ეხვეწებოდნენ ოფიციანტ ქალებს, ფულითაც სცადეს მათი დაინტერესება, მაგრამ ვერაფრით ვერ გატეხეს ისინი. ჩეხურ ლუდს ვერ მოგიტანთო, იყო შეუვალი პასუხი. მაშინ ის უცნობი კაცი ამდგარა და ოფიციანტისთვის უთქვამს, ცოტა ხნით ჩემთან მეტრდოტელი მოვიდესო. გამოჩნდა თუ არა ხსენებული პიროვნება, იმას საბუთი უჩვენებია, საბჭოთა კავშირის გმირი, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღ-



მმართველი მელიტონ ქანთარია ვარო. ყველაფერი ცხადი გახდა. მეტრდოტელი გაბრუნდა და უმალ ურიკებით შემოუგორებიათ საუცხოო ჩეხური ლუდი. ქართველები მაშინვე გალაღდნენ, იჯერეს გული.

ამ დროს მურთაზ ხურცილავა წამომდგარა და განუცხადებია — ერთი სადღეგრძელო ვთქვათ იმათი, ვინც ცხოვრებაში კაცებად გამოგვიყვანესო. მერე დაუმატებია — მე დიდი-დიდი ბანძაში კოლმეურნეობის ბრიგადირი ვიქნებოდი, ანდრო ჟორდანია და თბილისის „დინამო“ რომ არ გამომჩენოდნენ — ანდრო ჟორდანიას გაუმარჯოსო. აქ მელიტონ ქანთარია წამოჭრილა — არ ივარგებს, მაგას ჰიტლერის სადღეგრძელო უნდა მივაყოლოთო, ის რომ არ ყოფილიყო, მე გმირი ვერ გავხდებოდი და თქვენც ჩეხურ ლუდს ვერ დალევდითო. ამაზე სიცილხარხარი ამტყდარა.

ღიმილითა და გამორჩეული ხალისით იგონებს ოთარ წეროძე 1970 წელს, როცა იგი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მეხიკოდან ამერიკაში, ნიუ-იორკში ჩასულა მეგობრებთან ერთად. სინანულს გამოთქვამს, რომ მაშინ ახალგაზრდა ბიჭები — მამულო იაშვილი, ერასტი მელაძე, ომარ გერსამია დღეს ცოცხლები აღარ არიან.

მთელ მსოფლიოში ცნობილ უფართოეს ორმოცდამეორე ავენიუზე გამოსულან სასეირნოდ. იქ ყოფილან, სადაც პრესტიჟული სიგარეტის — „კენტის“ რეკლამა იქცევდა გამვლელთა ყურადღებას (ამერიკელებს არავისგან ესწავლებათ ეფექტური რეკლამების გაკეთება). უეცრად მოპირდაპირე მხრიდან მომავალი მურთაზ ხურცილავა და მისი მეუღლე, ქალბატონი ნანა დაუნახავთ. ავენიუზე ამტყდარა ყვირილი: — ოთარ! — მურთაზ! ისინი გაქანებულან და ერთმანეთს გადახვევიან. ამის შემხედვარე გამვლელები გაოცებისგან შედგნენ, მანქანებიც გაჩერებულან, ქართველების ხვევნა-კოცნა რომ ენახათ, მათი შეძახილები, ხმამაღალი ლაპარაკი მოესმინათ. ცხადია, ისინი ასე იოლად არ დაშორდებოდნენ ერთმანეთს, საგანგებოდ აღნიშნეს ასეთი მოულოდნელი შეხვედრა.

როგორ გინდა, ამნაირი გულის ადამიანებს საუკუნეებში გამოტარებული ქართული ხასიათი შეუცვალო. ამას ვერანაირი თავს მოხვეული გლობალიზაცია და ათასი „თავისუფლების ინსტიტუტი“ ვერ შესძლებს, მით უმეტეს ამიერიდან, როცა მთავარი ჭირი თითქმის მოშორებულია და საქართველო თავის ნამდვილ სახეს თანდათან იბრუნებს.

შედარებით გვიანდელი მოგონება უფრო პოეტურია და იმაზეც მეტყველებს, მურთაზ ხურცილავას შეფარული იუმორის გრძნობა რომ გააჩნია. 1990 წლის დამდეგს მურთაზ ხურცილავა (იგი ამ დროს „დინამოს“ მწვრთნელი გახლდათ) და ოთარ წეროძე, საბჭოთა კავშირის დაშლის კვირაძალზე, უკანასკნელი შეკრება რომ გაევლოთ, გერმანიაში, შტუტგარტის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ რუიტში ერთად ყოფილან. ვიდრე საწვრთნელი ბაზისკენ გაემართებოდნენ, მცირე ხნით ქუჩაში გაუსეირნიათ. იანვარი იდგა, საკმაოდ ციოდა. მეგობრების წინ მაღალი, ლამაზი ქალი გამოჩნდა. ეტლში ჩასმული, ამინდის შესაფერისად შეფუთნული ბავშვი მოჰყავდა. გვერდით ერთი ციცქნა, ასევე მშვენიერი ძაღლი, თბილად ჟილეტშეკრული, ცეკვა-ცეკვით მოცუნცულებდა, ეტყობოდა, ოთახის ტყვეობიდან ახალთავდახსნილი, კაი გუნებაზე იყო. ქართველების დანახვაზე შემკრთალა, საცოდავად დაუწკმუტუნია და პატრონის კაბის კალთას შეფარებია. იქიდან იყურებოდა თურმე დაფეთებული. მურთაზ ხურცილავას სიცილი წასკდომია:

— ოთარ, ეს ფინიაც კი მიხვდა, რა უბედური ქვეყნიდან ვართ ჩამოსულები და შეხედე, შიშისგან სად შეძვრა! — ასე უთქვამს.

ყველაზე უკეთ მურთაზ ხურცილავა მაინც მოსკოვის „დინამოსთან“ — ჩვენს მრავალჯერ დამჩაგრავ, ძალზე უხერხულ მეტოქესთან საბრძოლველად გამოსული მახსოვს. ეს, ვგონებ, 1969 წლის შემოდგომაზე მოხდა. თამაშის დაწყებამდე განუცხადებია — მე მაგენს დღეს ბურთს დავუმალავო და კიდეც აუსრულა დანაქადნები. მოედანზე გამოსვლისთანავე შეტევაზე გადავიდა და ის შეხვედრა გამანადგურებელი ანგარიშით (5:1) მოვიგეთ. მეეჭვება, ის დიდება და სპორტული კონდიციები ახლო მომავალში რომ დაიბრუნოს ჩვენმა გუნდმა. საამისოდ მურთაზ ხურცილავასთანა მუხლმაგარი, შეუდარებელი და სამშობლოზე ფანატიკურად შეყვარებული ფეხბურთელები უნდა გვყავდეს. იმ დღეს მხედართმთავარივით ჰქონდა მარჯვენა ხელი წინ გაშვერილი და გამუდმებით უტევდა მოსკოველთა კარს. ვერავინ აჩერებდა „ჯოლორიას“ ქარიშხლისებრ იერიშებს. ასეთი შეუპოვარი და დაუმარცხებელი დამამახსოვრდა იგი.

**ემზარ კვიტაიშვილი**
**1 თებერვალი, 2013 წ.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## შიდა ბაზარი

# „ძველი მეგობრების“ საკვირაო შეხვედრა

**— სადილზე მეწვიე, ერთ ძველ „ჯიგარს“ შეგახვედრებო, — მითხრა გასულ კვირადღეს უბნელმა ბავშვობის მეგობარმა. ვინ იქნება-მეთქი, რომ დავინტერესდი, მოხვალ და ნახავო, მიპასუხა. სტუმრად რომ მივედი, პირდაპირ დიდ, კოხტად მოწყობილ სამზარეულოში შემიძღვა, სადაც გემრიელი სუნი ტრიალებდა, მისი მეუღლე კატლეტებს წვავდა, მაგრამ ჩვენს გარდა სხვა არავინ იყო. — სადაა სტუმარი, ძმაო? — ვკითხე მასპინძელს, რომელმაც ცოლთან ერთად გულიანად გაიცინა და ლანგარზე შემწვარი კატლეტის გორაზე მანიშნა და მკითხა: — ა, ბატონო, სტუმარიც ესაა, რამდენი ხანია არ გინახავს?**

მართალი იყო ჩემი მეგობარი, კატლეტი, მწვადი, ქაბაბი, ხორციანი წვნიანი დიდი ხანია ჩვენში ჩვეულებრივი საკვების კატეგორიიდან დელიკატესების რანგში გადავიდა ხორცის მაღალი ფასის გამო, რომელსაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იშვიათად თუ ყიდულობს. როცა კილოგრამი ხორცი დაახლოებით 10 დოლარის ეკვივალენტი ღირს, მოსახლეობის უმრავლესობას მისი რეგულარულად ყიდვა უჭირს. არადა დიდი ხანია, ყველამ კარგად ვიცით, რომ ხორცზე ფასის ნახტომისებურად მომატება 2010 წლის დამლევისთვის მოხდა, როცა კომპანია „იბერ მით ჯორჯიამ“ სოფელ ნატახტარში ახალი სასაკლაო გახსნა, რომელიც, როგორც მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები გვარწმუნებდნენ, „ტექნოლოგიურადაც და სანჰიგიენური პარამეტრებითაც თანამედროვე მოთხოვნების სრულ შესაბამისობაშია“. ბუნებრივია, რომ ამის წინააღმდეგი არც ერთი საღ ჭკუაზე მყოფი მომხმარებელი არ იქნებოდა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სასაკლაოს პირუტყვის მიღება-დამუშავების ექსკლუზიური უფლება მიანიჭეს, რამაც ხორცის ფასი არნახულ სიმაღლეზე აიყვანა და ამიტომაცაა ახლა, რომ 50 თეთრზე დაბალ ფასად ხინკალს ვერსად ნახავთ, ულუფა ქაბაბი კი, რომელშიც 100 გრამი ხორცი თუა, 7-8 ლარი და მეტიც ღირს. თანაც კომპანიამ მაღაზიათა ქსელი „იბერულაც“ გახსნა, სადაც ხორცის რეალიზება უშუალოდ ხდება, ფასსაც, ცხადია, თავადვე ადგენს.

ხორცის ფასის ზრდის ამბავს რომ მივყვეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ შემდგომ, 2011 წლის გაზაფხულზე, კიდევ ერთი სასაკლაო თელეთში გაიხსნა, რომლის მეპატრონე შპს „ქროსლაინ ინვესთმენტ ლტდ სლაუთერია“, თუმცა ლებსაც, დამტკიცებულ სტანდარტებთან შეუსაბამობის მიზეზით, თბილისში საქონლის ხორცის სარეალიზაციოდ შემოტანა აუკრძალეს. ამასთან, სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრის ნორმატიული აქტით, რომელიც „მამალ“ და „დედალ“ ძროხებს ერთმანეთისგან ზედმიწევნით სხარტად არჩევდა, საქონლის საგზაო... 



ამას ხორცის ფასზე არანაირი ზეგავლენა არ მოუხდენია, რადგან „ბაზრის ტიტანებს“ ერთმანეთში კონკურენტული ბრძოლა არაფერში სჭირდებოდათ: ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მაკონტროლებელი ორგანოს არარსებობის პირობებში მთელი ბაზარი ორად ძალიან კარგად გაიყო, ხოლო „წვრილფეხა“ კონკურენტები ან ისევ მათ შეუერთდნენ, ანდა გაკოტრდნენ. ხოლო თუკი ვინმე ერთ ძროხას „პარტიზანულად“ დაკლავდა და გაყიდდა, ეს საერთო ვითარებას არაფრით ცვლიდა და არც ახლა ცვლის.

უნდა ითქვას, რომ ვიდრე ნატახტარისა და თელეთის სასაკლაოები ამოქმედდებოდნენ, საქართველოში 40-ზე მეტი სასაკლაო იყო და არის კიდეც, რომშე ხორცის პატრონს პროდუქციას არც ერთ ბაზარში არ გააყიდინებენ, მხოლოდ იქ (ესე იგი ნატახტარში ან თელეთში) მიიღებდა. იქაური მომსახურების ფასი, ბუნებრივია, ხორცის ფასში აისახებოდა, რასაც, ცხადია, მომხმარებელი იხდიდა და დღესდღეობითაც იხდის.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამჟამად საქართველოში 40-ზე მეტი სასაკლაოა, რომელთაგან, ვთქვათ, ყველა თუ არა, ნაწილი მაინც სრულად პასუხობს სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნებს, თბილისში იქ დაკლული საქონლის ხორცის ჩამოტანა და რეალიზება აკრძალულია, თუმცა კი, ამას ოფიციალურად არავინ აღიარებს. ამის შესახებ ექსკლუზიურად გვიამბეს აგრარული ბაზრებისა და ხორცის მაღაზიების გამყიდველებმა, რომელთა ვინაობას, მათივე თხოვნით, არ ვამხელთ.

ისევე, როგორც სოფლის მეურნეობის ყველა სხვა პროდუქცია, მეცხოველეობის პროდუქციაც ფასის სეზონურ ცვალებადობას განიცდის. მაგალითად, რძე და რძის ნაწარმი ზაფხულში უფრო იაფია, ვიდრე ზამთარში, სავსებით გასაგები მიზეზით იგივე მდგომარეობაა ხორცთან მიმართებაშიც. ამიტომ ახლა და უახლოეს თვეებში მისი ფასი უფრო მაღალი იქნება (დღესდღეობით იგი 13-16 ლარის ფარგლებში მერყეობს), მაგრამ თუკი ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან გლეხობას პროდუქციის დედაქალაქში შემოტანის შესაძლებლობა მიეცემა, მისი ფასი აუცილებლად დაიკლებს და, სავარაუდოდ, 8-10 ლარის ფარგლებში მოექცევა, რაც მომხმარებლისთვის დიდი შეღავათი იქნება.

ყოველივე ამას კი ბაზარზე კონკურენცია განაპირობებს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლური პრინციპია, რომელიც, ფაქტობრივად, სრულად იყო იგნორირებული ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, როცა ბაზარზე მონოპოლიური „სამეთაურო“ პოზიციები ან ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირთა კუთვნილ კომპანიებს ეკუთვნოდა, ანდა ისინი სულაც მაღალჩინოსანთა საკუთრებაში იყვნენ, რის აუარება მაგალითია ცნობილი. ამდენად, ვფიქრობთ, რომ მიუხედავად დაკავებულობისა, შესაბამისმა სტრუქტურებმა ამ მიმართულებითაც უნდა გადადგან ქმედითი ნაბიჯები, რათა მოსახლეობას მაღალი გადასახადებისა და ფასების ტვირთი ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ.

აქვე აუცილებლად იმასაც ვიტყვით, რომ ეს არ გახლავთ მარტო ერთი, ან ვთქვათ, ყველაზე მთავარი მიმართულება, რომლითაც სათანადო უწყებებმა უნდა იმოძრაონ, საქმემ ყველა საჭირო მიმართულებით დროულად და, რაც მთავარია, შედეგიანად უნდა წაიწიოს წინ — სწორედ ეს იქნება ხალხის ნდობის გამართლება.

**ოთარ ტურაბელიძე**

დიდი გულისტკივილით ვუსამძიმრებთ პროფესორ გივი ღამბაშიძეს დის

**ადა ღამბაშიძის**

გარდაცვალების გამო, სულიერად ვუდგევართ გვერდში ამ დიდი მწუხარების ჟამს.

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სახელით —
**გაბრიელ მირილაშვილი,**
კონგრესის პრეზიდენტი.

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებით იუწყება

**ნანი კორტავა-გაბელაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მეუღლეს, ზაურ გაბელაიას და სხვა ჭირისუფალთ.

აკად. ვ. წითლანაძის სახელობის რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ ამავე ცენტრის თანამშრომელს, მედიცინის დოქტორ, ბატონ ლევან შალამბერიძეს დედის

**ქეთევან შალამბერიძის**

გარდაცვალების გამო.

## ინფორმაცია

### სკოლის დირექტორს ბრალდება მოეხსნა

**გორის** რაიონის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის ყოფილ დირექტორ მიხეილ ბიბილაშვილს პროკურატურამ ბრალი მოუხსნა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ბიბილაშვილის ადვოკატმა შოთა მანელიძემ განუცხადა. მისივე თქმით, სკოლის ყოფილი დირექტორის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე ქრთამის აღების ბრალდებით.

— ბიბილაშვილმა სამი თვე გაატარა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალეს გირაოთი და გაათავისუფლეს, თუმცა საქმის გამოძიება გრძელდებოდა“, — აცხადებს მანელიძე.

ადვოკატი განმარტავს, რომ ერთი წლის წინათ ფინანსურმა პოლიციამ სკოლებში შემოწმება მოაწყო და ქრთამის აღების ბრალდებით სამი დირექტორი დააკავა. მისივე თქმით, სკოლებში დადიოდა ერთი და იგივე აგენტი, რომელიც დირექტორებს სთავაზობდა შეშის მიყიდვას, დაპობილ მდგომარეობაში. მას შემდეგ, რაც ბიბილაშვილი დათანხმდა მის შეთავაზებას, აგენტმა შეშა მიუტანა დაუპობელი. ამის გამო, ბიბილაშვილმა მას მოსთხოვა დაბოპის ფულის უკან დაბრუნება, რაც 50 ლარს შეადგენა და შეშა დააპობინა სხვა პირს. გამოძიება ბიბილაშვილს სწორედ ამ 50 ლარის ქრთამის აღებას აბრალებდა.

ადვოკატის განცხადებით, ეს იყო შეთითხნილი ბრალდება და ბიბილაშვილი უსაფუძვლოდ დააპატიმრეს.

**ინტერპრესი**

## ინფორმაცია

### ბორჯომის საკრებულოს შემადგენლობა მერაბიშვილის კაბინეტში დაიწერა

**ამის შესახებ პარლამენტის გუშინდელ სესიაზე ბორჯომის მაჟორიტარმა დეპუტატმა გედევან ფოფხაძემ განაცხადა.**

**მისი თქმით, ვანო მერაბიშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს ხალხი საკრებულოში გაეყვანა.**

**— ეს ხალხი არ არის ხალხის მიერ არჩეული, ეს ხალხი დღესაც არის ხალხის საწინააღმდეგო პოზიციაზე. ეს ხალხი საბოტაჟს უწევს იმას, რომ რაიმე გაკეთდეს ხალხისთვის და ასეთი ზეწოლა მათზე არის გამართლებული. თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც თქვენ ჩაატარეთ, ეს არ იყო ხალხის მიერ თავისუფალი ნების გამოხატვა, — განაცხადა ფოფხაძემ.**

**ამასთან, ფოფხაძე აცხადებს, რომ ბოლო 8 წლის განმავლობაში ბორჯომის მიწები გადაიქცა კორუფციის საგნად.**

**— ეს მიწები არის გადაცემული აბსოლუტურად უსამართლოდ და გარკვეული კორუმპირებული ჯგუფების მიერ აღებული. განსაკუთრებით ლიკანის მოსახლეობა დაზარალდა, — აღნიშნა ფოფხაძემ.**

**მისივე თქმით, მას აქვს გარკვეული დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს კორუფციულ გარიგებებს მიწებთან დაკავშირებით.**

## თავის მოვლა

# როცა განსხვავება საგანგაშოა

**არტერიული წნევის გაზომვა რიგრიგობით ორივე ხელზეა საჭირო. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ცალ-ცალკე ხელებზე არტერიული წნევის მაჩვენებლებს შორის სხვაობა — სიცოცხლისთვის სასიკვდილოდ სახიფათო სიმპტომია.**

დიდი ბრიტანეთის ექსთერის უნივერსიტეტის სპეციალისტების ეს გამოკვლევა ავტორიტეტულმა სამედიცინო ჟურნალმა „ლანცეტმა“ გამოაქვეყნა. კვლევისას გაირკვა, რომ **ვერცხლისწყლის სინდიყის 10 მილიმეტრის განსხვავება მარჯვენა და მარცხენა ხელებზე გაზომილ არტერიულ წნევებს შორის ხელებისა და ფეხების სისხლძარღვთა დაავადებათა გაჩენის საფრთხეს 2,5-ჯერ ზრდის. ამავე მაჩვენებლის 15 მილიმეტრამდე მდგრადად გაზრდის შემთხვევაში თავის ტვინის სისხლძარღვთა დაზიანებისა და ინსულტის ალბათობა 1,5-ჯერ იზრდება, ხოლო გულის სისხლძარღვთა დაავადების გამო სიკვდილიანობის ალბათობა 70 პროცენტით იმატებს.**



ბევრს მიაჩნია, რომ არტერიული წნევის მაჩვენებლებს მხოლოდ გულის მუშაობა განაპირობებს, მაგრამ ეს ასე არ არის. **არტერიული წნევის აწევის მიზეზი ყოველთვის ან გულის მუშაობის დარღვევაა, ანდა რომელიმე ორგანოსა და სისტემის პათოლოგია.**

შინაგან ორგანოთა მუშაობა თავის ტვინის ნახევარსფეროთა მუშაობაზე აისახება. **მარცხენა ნახევარსფეროზე პასუხისმგებლები არიან გული, ფილტვები, ხელები, მარჯვენაზე — მუცლის ღრუსა და მცირე თეძოების ორგანოები (კუჭქვეშა ჯირკვალი, საშარდე სისტემა, ნაწლავები).** თუკი რომელიმე ამ ორგანოში პათოლოგია წარმოიშვა, მისი შრომისუნარიანობა მცირდება, რაც კისრის განყოფილების სისხლძარღვთა სპაზმებსა და შესაბამისი ნახევარსფეროს სისხლით მომარაგების დარღვევის მიზეზი ხდება. ეს კი, თავის მხრივ, თავის ტვინის უჯრედებთან სისხლის მიწოდების დარღვევასა და ინსულტს იწვევს.

**უფრო ხშირად მარჯვენა და მარცხენა ხელებზე გაზომილ წნევებს შორის სხვაობა თავს იჩენს დისკომფორტით, სისუსტით, თავბრუსხვევით, რეაქციების შესუსტებით.** თუმცა არის შემთხვევები, როცა ის თავს არ ამჟღავნებს და მისი „გამოთვლა“ მხოლოდ ორივე ხელზე წნევის გაზომვითაა შესაძლებელი. წნევის გაზომვა კი უმჯობესია მექანიკური მანომეტრით, ვინაიდან ელექტრონული ხელსაწყოების ცდომილება სარწმუნო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას არ იძლევა.

უნდა ითქვას, რომ ორივე ხელზე ერთდროულად წნევის გაზომვის პრაქტიკას საკმაოდ იშვიათად მიმართავენ. თუკი პაციენტს რაღაც „ბუნდოვანი“ სიმპტომები აწუხებს, მაშინ პრობლემის გარკვევის საუკეთესო საშუალებაა ორივე ხელზე წნევის გაზომვა. მაგრამ თავიდანვე პანიკის ატეხა არ ღირს **— წნევებს შორის სხვაობა არაერთი როგორც სერიოზული, ისე მსუბუქი დაავადების სიმპტომია,** რომელთა შორის, მაგალითად, ხელების სხვადასხვა ტონუსის დასახელება შეიძლება. ტესტების მეშვეობით კი ექიმები დაგეხმარებიან იმის გარკვევაში, თუ რითაა გამოწვეული თქვენი ხელების „მუშაობის სხვადასხვა რეჟიმი“. მთავარია, ამ დროს ექიმს დროულად მიაკითხოთ.

**ლალი ხუნდაძე**

## განცხადება

2013 წლის 10 აპრილს, დღის 11 საათზე დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. 2012 წლის წლიური ბალანსის განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხი.

სააქციო საზოგადოება „ყვარელის“ ადმინისტრაცია

მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ტესტი

# ვიყიდოთ თუ არ ვიყიდოთ?

**გაიარეთ ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ გაიგოთ, ხომ არ გადააჭარბეთ თქვენს არჩევანში. ყოველ პასუხზე „ა“ დაიწერეთ 2 ქულა, პასუხზე „ბ“ — ქულები არ იწერება.**



**1. როდესაც ქუჩაში სეირნობთ, ხშირად შედიხართ მაღაზიაში ან ჩერდებით ჯიხურთან და ეს ჩვეულებრივად ფულის ხარჯვაში გადადის?**

ა) დიახ; ბ) არა.

**2. ვაჭრობის ადგილებში, განსაკუთრებით ბაზრობებზე, იმდენად გაგირბით თვალი, რომ არ იცით, რა იყიდოთ, და ხშირად ყიდულობთ რამეს მოუფიქრებლად?**

ა) დიახ; ბ) არა.

**3. გარკვეული პერიოდულობით მეორდება, რომ მიდიხართ მაღაზიაში რაღაც ერთი რამის საყიდლად, მის ნაცვლად კი სულ სხვა რამეს ყიდულობთ?**

ა) დიახ; ბ) არა.

**4. მაშინაც კი, როდესაც მიხვდებით, რომ ნივთი არ გჭირდებათ, ჩვეულებრივად უკან არ აბრუნებთ ნაყიდს?**

ა) დიახ; ბ) არა.

**5. ხშირად ბრაზობთ და ლანძღავთ თავს იმისთვის, რომ იყიდეთ უსარგებლო რამ, რომელსაც ახლა უბრალოდ მტვერი ედება?**

ა) დიახ; ბ) არა.

**6. ხშირად იყენებთ შოპინგს განწყობილების გაუმჯობესებისთვის?**

ა) დიახ; ბ) არა.

**7. თქვენ უკვე მიეცით სიტყვა საკუთარ თავს, რომ აღარ იყიდით დაუგეგმავ საყიდელს, მაგრამ მაინც არღვევთ მას?**

ა) დიახ; ბ) არა.

**8. თუ მომხდარა თქვენს ცხოვრებაში, რომ დახარჯეთ სხვისი ფული იმიტომ რომ, თავი ვერ შეიკავეთ?**

ა) დიახ; ბ) არა.

**9. სწორია თუ არა, რომ როდესაც არაფერი საქმე არა გაქვთ, გიყვართ საყიდლებზე წასვლა?**

ა) დიახ; ბ) არა.

**10. ხშირად გრძნობთ თავს დამნაშავედ, რომ კვლავ დახარჯეთ თქვენთვის ძალიან ბევრი?**

ა) დიახ; ბ) არა.

## შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

**20-14 ქულა**. ეტყობა, თქვენ გაერთეთ. მიიღეთ ზომები: თუ რამეა საყიდელი, განსაკუთრებით ძვირადღირებული, თან წაიყვანეთ მეგობარი, ის გამოგაფხიზლებთ. ერიდეთ მაღაზიაში წასვლას ხელფასის დღეს! თუ აპირებთ რაიმე აუცილებლის ყიდვას, ჩამოწერეთ სია და წაიღეთ იმდენი ფული, რამდენიც საჭიროა. შეეცადეთ გამონახოთ ისეთი საქმე, რომელსაც ექნება მკაცრი რეჟიმი და გაჰყევით მას. სპეციალისტები გვირჩევენ ყურადღება გადავიტანოთ ფიტნეს-კლუბზე. ყველაზე ფსიქოთერაპევტულია ეგრეთ წოდებული სოციალური ცეკვები — სალსა, ხასტლი, არგენტინული ტანგო. მთავარია, არ იზარმაცოთ.



**12-18 ქულა**. თქვენ, როგორც ეტყობა, გაქვთ მიდრეკილება უწესრიგო შესყიდვებისადმი. დაიმახსოვრეთ: როდესაც მაღაზიაში მიხვალთ, თუ იცით რომ ის, რაზეც ოცნებობდით“, მაინც და მაინც არ გჭირდებათ, არამედ, გინდათ იყიდოთ სულ სხვა რამ, რაც მოგეწონათ, აიძულეთ თავი, გამოხვიდეთ მაღაზიიდან, ნუ ინაღვლებთ, არა სამუდამოდ, თქვენ აქ დაბრუნდებით რამდენიმე დღის შემდეგ, და თუ მართლა ძალიან გინდათ სწორედ ის ნივთი, მას თქვენ შეიძენთ. პრინციპი — „ვიყიდი, ოღონდ არა ახლა“, მეტად ეფექტიანია. კარგად დაგეგმეთ თქვენი საყიდლები და ნუ მოიწყენთ!

**6-0 ქულა**. შეიძლება ითქვას, თუ ტესტის ყველა შეკითხვას უპასუხეთ გულწრფელად, თქვენ თავისუფალი ბრძანდებით მაღაზიაზე დამოკიდებულებისგან. შეიძინეთ ნივთები კმაყოფილებით.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

**რა** თქმა უნდა, კარგია, რომ ცხოვრება უკეთესი და მხიარული გახდა. მაგრამ ცუდია ის, რომ იგი ჩვენთვის არ გამხდარა ასეთი.

* * *

**მებაჟე** გემზე ადის შესამოწმებლად.

— ნარკოტიკები გაქვთ?

— რა თქმა უნდა, — უპასუხებს გემის მეპატრონე და ჩემოდანს ხსნის. აი, ჰეროინი, აი, კოკაინი. ყველაფერი კოხტად არის ჩაწყობილი. შპრიციც მზადაა.

— ინებ იარაღიც გაქვთ? — კითხულობს გაკვირვებული თვალებგადმოკარკლული მებაჟე.



მეპატრონე მეორე ჩემოდანს ხსნის:

— აი, „მაკაროვი“, ესეც „კალაშნიკოვი“. აქ კიდევ მათი ვაზნებია.

— ცხადია, ვალუტაც გექნებათ! — ირონიულად კითხულობს მებაჟე.

მეპატრონე მესამე ჩემოდანს ხსნის:

— აი, მილიონი დოლარი.

საწყალ მებაჟეს გაოგნებისგან ენა ებმის:

— და ეს ყველაფერი თქვენია?

— არა, ეს თქვენია. ჩემი ტრიუმშია. — უპასუხებს მეპატრონე.

* * *

**აწონვისას** მუდამ ვდგები ერთი დილემის წინაშე: სასწორზე ტიტლიკანა დადგომა უხერხულია, ტრუსებით აწონვისას კი წონა ზუსტი არ არის.

* * *

— **რომელი** ფილმი გიყვარდათ ყველაზე მეტად ბავშვობაში? — ჰკითხეს როგორღაც მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკს.

— „როგორ მოვიპაროთ მილიონი“.

ჩვენი პრესდაიჯესტი

## [illegible] გაზეთებიდან



### „ივანიშვილს გამსახურდიასავით ვერ ჩამოაგდებენ“

— **ფიქრობს** „ეროვნულების“ ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე, — ივანიშვილის ხელისუფლების დამარცხება ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ზვიადის ხელისუფლებისა იყო. ერთი რამ არის საგულისხმო: როგორც ზვიადის ხელისუფლებაში ჩანერგეს და სავსე იყო ჩანერგილი აგენტებით მისი ხელისუფლება, ძალოვანი უწყების ყველა ხელმძღვანელი ზვიად გამსახურდიასი ჩანერგილი აგენტი იყო და ყველა ძალოვანი უწყების მინისტრმა უღალატა მას, დღესაც ასევე მიმდინარეობს ჩანერგვა ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში... და ეს პროცესი, საკმაოდ მნიშვნელოვანია. აქ უნდა იყოს ფრთხილად ახალი ხელისუფლება.

**„ახალი თაობა“**

### მერაბიშვილის განგაშის ზარი ფუჭი გამოდგა

**იანვარში** საგარეო ვაჭრობა გაიზარდა. საყურადღებოა, რომ ვაჭრობის გაზრდაზე გავლენა მოახდინა ექსპორტის გაზრდამ, ხოლო იმპორტი შემცირდა. ასევე შემცირდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. ასე რომ, ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცება ქვეყნის ეკონომიკური აქტივობისა და მაჩვენებლების შემცირების შესახებ, სტატისტიკურად არ დასტურდება. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ასე მკვეთრად ბოლო წლებში არ შემცირებულა. იანვრის მონაცემებით, იმპორტი ექსპორტს მხოლოდ 2,3-ჯერ აღემატება, არადა, უკანასკნელ წლებში იმპორტი ექსპორტს საშუალოდ 3,5-ჯერ აღემატებოდა.

ვანო მერაბიშვილის განგაშის ზარი არ მართლდება.

**„რეზონანსი“**

### როგორ აპირებს საქართველო „ნატოში“ შესვლას, როცა 2020 წლამდე „ნატოს“ გაფართოება არ იგეგმება?!

— **ამბობს** პარტია „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი და საერთაშორისო მდივანი, დიპლომატი და ყოფილი ელჩი ვასილ ჭიჭინაძე, — ხომ ყველამ მოვისმინეთ გერმანიის განცხადება: „2020 წლამდე „ნატოს“ გაფართოება არ იქნებაო?“ ახლა რა ვქნათ, „ნატოს“ წევრი ქვეყნის კანცლერის ანგელა მერკელის ნათქვამი ვირწმუნოთ თუ „ნაციონალური მოძრაობისა“, ჩვენ „ნატოში“ მალე შევალთო? 2020 წლამდე 7 წელია და რა ვქნათ, ამ მოლოდინებით, უფრო სწორად, ამ უაზრო მოლოდინებით ვიცხოვროთ? თანაც 2020 წელშიც რომ გითხრან — ჯერ ვერ მიგიღებთო, კიდევ 7, 8 ან 9 წელი უნდა გავიდეს, აზრზე რომ მოვიდეთ.

მე, შეიძლება, ძალიან არაპოპულარულ განცხადებას ვაკეთებ ამ წუთში, მაგრამ იგივე „ნატომ“ თავისი წევრი ქვეყანა თურქეთი უკვე დაგინიშნა მთავარ მოთამაშედ და ირიბად იმასაც მიგანიშნებს, მიდით და თურქებთან ილაპარაკეთო.

**„საერთო გაზეთი“**

### ქუთათურები „ლიაიას ბორდელის“ დახურვას ითხოვენ

**ქუთაისის** ცენტრში, კოსტავას ქუჩაზე, „ლიაიას ბორდელად“ ცნობილ დაწესებულებას ყოველდღიურად რამდენიმე ასეული არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი სტუმრობს. მის სიახლოვეს მცხოვრებთ ძალაუნებურად უწევთ არა მარტო მათი ჩხუბისა და აყალმაყალის, არამედ იმის მოსმენაც კი, ვის როგორ და რა ფასად მოემსახურებიან. ასეთი გარიგება პირდაპირ ქუჩაში, მათი ფანჯრების წინ ხდება. აღშფოთებული ადამიანები ამბობენ, რომ მათ ლამის ყოველდღე უწევთ საპატრულო პოლიციის გამოძახება, რადგან „ლიაიას ბორდელის“ მაღალი „ტარიფებით“ გაღიზიანებული შეზარხოშებული მამაკაცები არა მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელობას, არამედ მთელ დასახლებას გინებით იკლებენ.

**„ყველა სიახლე“**

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com